



„ქართული გენერაციული“

# საქართველოს ქორეოგრაფია

გამოდის 1992 წლის იანვარიდან №1 (40-41), დეკემბერი-იანვარი, 2012-13 წელი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმური გამოცემის კავშირი



საქართველოს ქორეოგრაფიის მუზეუმი  
ქორეოგრაფით ქადაგი გილოცტურ  
Merry Christmas and Happy New Year 2013 წლის!

კავშირის მამაკანონი, არისტოკრატი ლაუზი (ჩანიშვილი) აკადემიუ  
Head of Union, Professor Lauz (Rezo) Chanishvili

## ცლის შემაჯამახელი კონცერტი (2012 წ.)

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგებამ მიმდინარე წლის 23 დეკემბერს ა. გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო რუსულ აკადემიურ თეატრში კალენდარული წლის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა. ჩატარდა საბავშვო და ახალგაზრდული ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალ-დათვალიერება. კავშირის ხელმძღვანელობამ გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი (შუბუტი) დარასველის პრემია და მედალი გადასცა ცნობილ ქორეოგრაფს, საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ ხელმძღვანელს, ბატონ ჯემალ რეხვიშვილს, ხოლო ღეგენდარული მოცეკვავის დავით უშვერიძის სახელობის პრემია და მედალი გადაეცა ასევე ცნობილ ქორეოგრაფს, კავშირის იმერეთ, რაჭალეჩეუმ, ქვემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ ავთანდილ ლომთაძეს. წლის მანძილზე აქტიური შემოქმედებით გამორჩეული ანსამბლები დაჯილდოვდნენ „სანიმუშო“, საბავშვო, სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის წოდებით“. დაბადების მე-60 წლისთვის იუბილესთან დაკავშირებით და აქტიური საქმიანობისათვის საგანგებო მედლებით, ასევე ამაგდარის წოდებით დაჯილდოვდნენ კავშირის თავმჯდომარის მოადგილები პროფესორი ოლეგ ალავიძე და ცნობილი ქორეოგრაფი, ღირსების ორდენის კავალერი ბატონი იური ტორაძე. წლის საუკეთესო ქორეოგრაფი მიენიჭოს თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ფესვების“ ხელმძღვანელს მამუკა ცერცვაძეს. წლის საუკეთესო პედაგოგ-ქორეოგრაფი მიენიჭოს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „მერანის“ პედაგოგ-ქორეოგრაფს მაკა ქაშაკაშვილს; მიენიჭოს ქ.



ფოთის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ფაზისის“ პედაგოგ-ქორეოგრაფს მარინა ფხავაძეს. საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარი მიენიჭოს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ოლეგ ალავიძეს; მიენიჭოს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს იური ტორაძეს; მიენიჭოს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ა.რ. რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გერონტი (გენო) ჭელიძეს. წლის საპატიო ამაგდარის წოდება დიპლომით მარინა მაჭავარიანი ელისო გაბელაია, თემურ ფირცხალავა, იაგო ცენტრაძე. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მადლიერების სიგელი: სამსონ მენაბდიშვილი, თამაზ მოსია, ირაკლი ცერცვაძე, კახაბერ მარკოშვილი, გოჩა გრძელშვილი, ჯუმბერ ცუცქირიძე, მელისი ნადირაძე, ჯეირან გოგინავა, ჯემალ ესიავა, ნინო ტურიაშვილი, მურმან გამისონია, გელა ჭანიშვილი, გოჩა ყველაძე, მანანა ბერიძე. ნინო წმინდის სომხურ ანსამბლს მადლიერების სიგელი. ღირსების ორდენი (წარდგენილია) ალექსანდრე (ალეკო) ქართველიშვილი, ნინო ტურიაშვილი, თამარ მელიქიშვილი, ტარი-

► გვ.2



## წლის შემაჯამახელი კონცერტი (2012)



**ვ.1** ელ გოგობერიშვილი. სახალხო ანსამბლის წოდება –

სენაკის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „გეგა“ (ხელმძღვანელი მამუკა მესხიშვილი). ზუგდიდის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხა“ (ხელმძღვანელი ემირ ნადარეიშვილი). ზესტაფიონის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „შევარდენი“ (ხელმძღვანელი ბორის დადუნაშვილი). ტყიბულის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სიჭაბუკე“ (ხელმძღვანელი თამაზ დვალი). თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ალეგ-თი“ (ხელმძრვანელი ნაზი ნიკლაური). თეთრიწყაროს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „დიდგორი“ (ხელმძღვანელი მარიამ ულენტი). ხაშურის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალალბელი“ (ხელმძღვანელი ლია ბერუაშვილი). თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლაშარი“ (ხელმძღვანელი კახა დაშნიანი). თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მეტეხი“ (ხელმძღვანელი დავით ფოცხიშვილი). თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მეტეხი“ (ხელმძღვანელი გელა ფოცხიშვილი). ბორჯომის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელი თეა გაბელაია). თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სიხარული“ (ხელმძღვანელი თენგიზ სუხაშვილი).



2012 წლის 3-5 ნოემბერს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა მეზობელი სომხეთის ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის დელეგაციია, მისი თავმჯდომარის

**გამიპ მხიარიანის** ხელმძღვანელობით. აღნიშნულ ვიზიტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოძმე ერების კულტურული ურთიერთობის გაღრმავებისა და გაძლიერების თვალსაზრისით.

მხარეებმა ერთობლივი ძალის ხა

და პრაქტიკულ შემოქმედებით ღონისძიებებში, საკონკურსოდ და საფეხურით უზრუნველყონ ანსამბლების შერჩევა-გაგზანა, სტუმრების მიღება, მათი მომსახურება და ა. შ.

ვიზიტმა მაღალი შემოქმედებითი აქტივობის ატმოსფეროში ჩაიარა. მოიხაზა საკითხთა ნრე, რომელიც საპასუხო ვიზიტის დღის წესრიგით განიხილება და რომელთა გათვალისწინებითაც ხელი მოეწერება ურთიერთობის თვალსაზრისით. ჩარჩო-ხელშეკრულაბას.

## სტუმრები თბილისში

მევით შექმნეს ურთიერთობანამშრომლობის ოქმი და შესაბამისი მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ისინი აპირებენ ანარმონ ინფორმაციის მუდმივი გაცვლა, მონაწილეობა მიიღონ ორივე მხრიდან მოწყობილ თეორიულ



# კოლეგი-ლაზენი ცეკვების ფასტივალი ფოთო

ରା ତ୍ରୟମା ଉନ୍ଦରା, ଯେକ୍ଷତିଗ୍ରହାଲ୍ପିଥୀ ଵେର ଐନ୍ଦ୍ର-  
ଦୂରା କୁଳଶ୍ଵରୀ ସାତ୍ରେକ୍ଷାନ୍ତିରେ ଉଦ୍ଦେଶ୍ୟରେ  
ନରିଗିନୀଙ୍କି, ମାଘରାଠ ମରଣ୍ଜେଖଲିନୀ ଲାଭଶ୍ଵରୀ  
ସାତ୍ରେକ୍ଷାନ୍ତିରେ କ୍ଷେତ୍ରଗ୍ରହିବିଲୁ, ଯେତନୀଗରାତ୍ମିକିରେ  
ନିମ୍ନଶ୍ଵରୀ, ରିତାତ୍ପର ଗାମାରତିଲ୍ଲେବା ଏହିଲ୍ଲେବା  
କୁଳଶ୍ଵର-ଲାଭଶ୍ଵରାଧ ନୀଦେଖିଲୁଣି କାରତ୍ତୁ-  
ଲିବ ତ୍ରେତୀବିଲୁ ସାତ୍ରେକ୍ଷତିଗ୍ରହାଲିନ ଅର୍ଥିକ୍ଷାନ୍ତା  
ଦା ମିଥାନଦାସାକୁଳନୀବାସ. ଅମ ଯୁଗାନ୍ତାକ୍ଷର-  
ଲିବ ଅର୍ଣ୍ଣ କ୍ରି ନି ଅର୍ଣ୍ଣିଲୁ, ରମି ଉଦ୍ଦେଶ୍ୟରେ  
କୁଳଶ୍ଵରୀ ଦା ଲାଭଶ୍ଵରୀ ତ୍ରୈରିତିରିକିଲୁଣି  
ମିଥେଦ୍ଵାରିତ (ଗାର୍କୁର୍ବେଶ୍ୱରିନୀଲାଦ ଆକ୍ଲାନ୍ଦର୍ବେଶ  
ଦାଶାଵଲ୍ଲେତ ତ୍ରେତୀକ୍ଷେତ୍ରରେ ରମି ମରିପାଇଲୁ)  
କ୍ଷେତ୍ରି ହିତକିରିତ ତ୍ରେତୀକ୍ଷେତ୍ରରେନାରିନ୍ଦ୍ର-  
ଶ୍ଵର କ୍ଷେତ୍ରରେଗରାତ୍ମିକି କିମ୍ବିଲ୍ଲେବେଳୁଣି,  
ରିତାତ୍ପର ଗ୍ରେମାଯ୍କେବା ହିତେନି ମାଲ୍ଲିନୀବିନି ନୀତ-  
ଶ୍ଵରିଲୁ, ଅନ୍ତମ୍ୟ ଦା ମରିମାତ୍ରାଲାନ୍ତି.

ლირსსაცნობია, რომ კოლხურ-ლაზური  
ცეკვების ფესტივალის, უფრო სწორად,  
საფესტივალო ასპარეზობის საიმედოო-  
ბა, საკეთოლდღეო მისია ყველანაირად  
აწონ-დაწონა პატრიოტული სულისკეთე-  
ბის ნიჭიერება ხელოვანმა გიგლა თურქია. მას  
ძალიან კარგად გაეგება ფესტივალ-  
კონკურსების, სახალხო დათვალიერებების  
როლი ქორეოგრაფიული შემოქმედების გან-  
ვითარებაში. მისივე რუდუნებით, გულითა-  
დობის გამოხატულება, რომ საქართველოს  
უძრებელ ქალაქ ფოთში წარმატებულად  
წარიმართა უკვე კარგად აპრობირებული  
საფესტივალო ღონისძიება.

ცონბისათვის ვიტყვი, რომ „ფესტივალი“ ფრანგული ტერმინია და ნიშანას ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა ჩვენებს, დათვალიერებას, რომელიც ეწყობა პერიოდულად.

აღსანიშნავია, რომ კოლხურ-ლაზური ცეკვების პირველი ქორეოგრაფიული ფესტივალი 2007 წელს გაიმართა, მეორე ფესტივალს მეტი კოლექტივი ჰყავდა და 2010 წელს ჩატარდა ლია ცისქვეშ, მესამემ კი შარშან, 2011 წელს, დაგვამახსოვრა თავი. მეოთხე საცეკვაო ფესტივალი ორ დღეს 16 და 17 ივნისს მიმდინარეობდა, სადაც, გარდა ქორეოგრაფიული ანსამბლებისა, ხალხური ვოკალური კოლექტივები მონაწილეობდნენ.

„კარგი საქმე არ წახდების“-ო – ნათქ-  
ვამია. ფოთის ხელმძღვანელობამ მოიწო-  
ნა ფესტივალის ჩატარება, ყოველმხრივი  
საფუძველი შეუქმნა მის ორგანიზებუ-  
ლად ჩვენებას... ფესტივალი ქალაქის  
ცენტრალურ, სიმწვანით მოსილ საზოგა-  
დოებრივ პალი გაიმართა, სადაც მოძ-  
რავ-გადასაადგილებელი, საკონცერტო-  
სასპარეზო სცენა გააწყვეს.

ფესტივალის წამყვანებმა თამთა ჯოქ-იძემ და შალვა ლიპარტელიანმა ჩინებულად გაართვეს თავი საპასუხისმგებლო მოვალეობას, მაყურებელს მოუთხრეს ფესტივალის დანიშნულებაზე, გააცნეს უიურის შემადგენლობა და საპატიო სტუმრები. უიურის თავმჯდომარედ დასახელდა საქართველოს სახალხო არტისტი ფრიდონ სულაბერიძე. უიურის წევრებსაც კბილი არ მოესინჯებოდა, მისი თოთოეული წევრი ქართული საცეკვაო ხელოვნების აღიარებულ მოღვაწედ, პრატიკოსად და თეორეტიკო-სადაა ცნობილი. ესენია: **რეზო ჭანიშვილი**, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე, ზაურ ლაზიშვილი, ურა დვალიშვილი, თამაზ მოსია, რობერტ ქორჩილავა, საპატიო სტუმრები იყვნენ: ოლეგ ალავიძე, იური ტორაძე, მურმან გამისონია, ტარი-

ელ გოგობერიშვილი

საასპარეზო ფესტივალის პირველი დღე  
და ეთმო ფოთის ბავშვთა და მოზარდთა  
თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლ  
ლებს, რომელთა გამოსვლებს საკონცერ  
ტო მისია ეკისრა. მაყურებელმა იხილა  
ფოთის ჯანმ ბაგრატიონის სახელობის  
ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლაზი  
კა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი გიგლ  
თურქია, ქორეოგრაფები: მარინა ფხავაძე  
ლაშა ჩოფლიანი, ლაშა ადანაია), ფოთის  
ილიკო სუხიშვილის სახელობის ანსამბლი  
„ნორჩი ფაზისელები“ (სამხატვრო ხელმძ  
ღვანელი კახა ამბალია, ქორეოგრაფები  
დევიზ სილოგაგა, მარინა ბაბავა), საა  
ბავშვო-ახალგაზრდული ანსამბლი „როკ  
კა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ედიშერ  
ალექსანდრია, ქორეოგრაფი ასმათ კუ  
ჭავა), ფოთის ფოლკლორის ცენტრის  
ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამება“  
(ქორეოგრაფი კობა დარახველიძე, ასის  
ტენტები: მაია ქოიავა, ნიკოლოზ ბარ  
თია), ფოთის ქორეოგრაფიული ანსამბლი  
„იმედი“ (ქორეოგრაფი მალხაზ მაკარაძე  
ფოთის ქორეოგრაფიული ანსამბლი „არ  
გონავტები“ (სამხატვრო ხელმძღვანელი  
მარინა ფხავაძე, ქორეოგრაფი ლაშა ადა  
ნაია). ფოთის ქორეოგრაფიული კოლექ  
ტივების საკონცერტო ცეკვებს საზემო  
სახე არ აკლდა, მათი სცენური მასპინ  
ლობა, უდაოდ, იმსახურებდა საერთო

აღსანიშნავია, რომ საფესტივალო კონცერტს წინ უძლოდდა აღლუმი. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ანსამბლების ნორჩი შემსრულებლები სიმღერით საზეიმო შეძახილებით და ქუბილიანი ტაშით მოაბიჯებდნენ ქალაქის ცენტრისაკენ. ჩაქუროსან-ჩოხიანი და ფარჩა კაბებიანი ვაჟებისა და გოგონების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომელთა გვერდით იყვნენ ქართული ცეკვის ვეტერანები, აღიარებული მოღვაწენი.

დიახ, შვენოდა ამ მრავალგზის ჭირნახ-



ნებისმიერი ქვეყანა დაიტრაბახებდა  
ილიკო სუხიშვილის, ნინო რამიშვილის  
ჯანო ბაგრატიონის, დავით ჯავრიშვილის,  
ბუხუჭი დარახველიძეს, ენვერ ხა-  
ბაძის, ავთანდილ თათარაძის, გიორგი  
სალუქვაძის, ალექსანდრე ჯიჯეშვილის  
დავით უშეერიძის, შოთა ჩახავას, ლერ-  
მოსიას, ლატაგრა ფოჩიანის, თამაზ ბე-  
ჟანიძის და სხვა დიდი სახელებით.

გამოჩენილ მოღვაწეთა სახელობის  
დიპლომები სათანადო კრიტერიუმების  
მიხედვით გამოიკვეთნენ, ყველას და ყველა  
ლაფერს თავისი უტყუარი სახელი დატრენა.  
ფოთიდან მრავალი კოლექტივიც  
მონაწილეობდა საფესტივალო ასპარეზის  
ეზობაში, რომელთაც დაგვამასოვრებელი  
შემდეგი ცეკვები: „კოლეჯური სუიტა“  
„განდაგანა“, „ფერხული-ფარცა“, „ოსური  
სიმდი“, „სვანური“, „მოხეური“,  
„ნარნარი“, „მთიელ ქალთა ცეკვა“, მთიელ  
ქალ-ვაჟთა საზეიმო“, „ლაზიკას“, „ფაზიის  
სის“ და „როკვას“ ხელოვნებამ მაყურებელის  
გული მოინადირა, მონდომება არ  
აკლდათ ფოთის სხვა კოლექტივებსაც.  
საფესტივალო შესაძლებლობანი არც  
ზოგოვრობის უარნონისპოვან სამია.

ლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზე-კარი“ (ხელმძღვანელი — პავლე გერგე-დავა), კახათის N1 საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „კახათი“ (ხელმძღვანელი გურამ ნარმანია), ახალი კახათის საჯარო სკოლის ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი გიორგი სურმავა), ჯიხაშვარის კულტურის სახლის ანსამბლი „ჯიხა“.

ტრადიციული შესრულების ნიმან-  
თვისებებით გამოიჩინებან ოზურგე-  
თის რეზო ჭანიშვილის სახელობის ქო-  
რეოგრაფიული ანსამბლი „მანანური“  
(ხელმძღვანები: მანანა მაკარიძე, ნუკრი  
ლლონტი), ოზურგეთის სოფელ ნატანე-  
ბის კულტურის სახლის ქორეოგრაფიუ-  
ლი ანსამბლი „კოლხა“ (ხელმძღვანელი  
მელისი ნადირაძე), ოზურგეთის გორგი  
სალუქაძის სახელობის ცეკვის ანსამ-  
ბლი „ფესვები“ (ხელმძღვანელი მერაბ  
მორჩილაძე), ოზურგეთის N1 საჯარო  
სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი  
„ლაშა-გორგი“ (ხელმძღვანელი ემზარ  
სანიკიძე).

ნაცადი შემოქმედებითი ხელწერით  
ნარმოჩნდენებ ქუთაისის ქორეოგრაფი-  
ული ანსამბლი „აია“ (ხელმძღვანელები:  
ლადო კუბლაშვილი, ოთარ ნემსაძე), აბა-  
შის მუზიციპალიტეტის ხელოვნებისა და  
კულტურის ცენტრის ანსამბლი „ანან-  
ური“ (ელისო გაბელია) და ხარაგაულის  
კულტურის ცენტრის ანსამბლი „უბი-  
სი“ (ხელმძღვანელები: ელისო და ზაზა  
ლურსმანაშვილები), წყალტუბოს ცეკვის  
ანსამბლი „ეგრისი“ (ხელმძღვანელები:  
მეგო ბუხუტეიშვილი, თემურ აფხაძე),  
აბაშის რაიონის მარანის საჯარო სკო-  
ლის ანსამბლი „ჯანსულო“ (ხელმძღ-  
ვანელები: გიორგი შუბლაძე, ავთანდილ  
თოდეუა), ჩხოროცხუს სოფელ ლესიჭინეს  
ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოქროს სან-  
მისი“ (ხელმძღვანელი ჯამალ შვანია).

საინტერესო შთაბეჭდილება და-  
ტოვეს ბათუმის N1 საჯარო სკოლის  
ქორეოგრაფიულმა „ლილებ“  
(ხელმძღვანელი ნუგზარ მიქაელ) და ხე-  
ლვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ  
„ახალსოფლის“ ანსამბლმა „ახალი თაო-  
ნა“ (ხელმძღვანელი ნუგზარ მიქაელ).

ბა” (ხელმძღვანელი ავთო გვანიძე).  
ასე, რომ საფესტივალო პაერობამ  
მკაფიოდ დაგვისურათა თითოეული  
საცეკვაო კოლექტივის სცენური სახე.  
საცეკვაო დამსახურებულად, ნამდვილი  
შემოქმედებითი მიდგომით შეფასდნენ  
მასობრივი ანსამბლები, მცირე ჯგუფე-  
ბიც. თითოეული საცეკვაო ნომერი შე-  
საბამისი კრიტიკოუმებით გაანალიზდა:  
პირველი – ცეკვის კომპოზიციური ერ-  
თიანობა, ტექნიკოგიური საშუალებანი  
ანუ საცეკვაო ლექსიკა, შემსრულე-  
ბლობა, მისადაგი ნახაზი; მეორე – მასო-  
ბრიობა, სინქრონიზმი, ფოლკლორული  
მექანიზმები; მესამე – სა-  
დადგმო მიგნება, საცეკვაო



ად და ოპტიმიზმით აღსავსე ისტორიულ  
ქალაქს შექნათელი დღესასწაული -  
ქართული ცეკვის ფესტივალი, იდეურად  
და შინაარსობრივად საინტერესო ორგანიზაციის  
მადლიანი დღე რომ დაგვამახსოვრა  
პირველ დღეს საკონცერტო მნიშვნელო  
ბა ჰქონდა, მეორე დღე კი საინტერესო  
ასპარეზობამ მოიჩა.

მართლაც, 17 ივნისს მრავალი ქართული ხალხური ცეკვა ვიზიტორთ, ყველა საკონკურსო ელფერი გააჩნდა. სხვაგვარად არც წარმოიდგინებოდა ეს სანა აქებო სცენური პაექრობა.

ფესტივალის საორგანიზაციო საბჭომ  
საგანგებოდ დააწესა ეროვნული ქონის  
რეოგრაფიის ღირსებაშემკულ მოღვაწეთ  
თა სახელობის ჯილდოები, რომელთა  
ღვაწლი, ნაშრომ-ნაჯაფარი ყველა  
დროის კუთვნილება.



**az.3** მუსიკის, რიტმულობის შესაბამისობა; მეოთხე – საცეკვაო სამოსელი და აღკაზმულობა; მეხუთე – ცოცხალი მუსიკა, თანხლება, და ბოლოს, ხალხური სცენური ცეკვის თემა-შინაარსის კომპოზიციური ამსახველობა.

აქ ჩამოთვლილი კრიტერიუმების  
მიხედვით, ჯანმ ბაგრატიონის სახელმძის  
დიპლომით დაჯილდოვდა ფოთის საბაზშ-  
ვო ანსამბლი „ლაზიე“; ნინო რამიშვილის  
სახელმძის დიპლომი გადაეცა ფოთის  
ანსამბლ „როვეას“; ფოთის ფოლკლო-  
რული ცენტრის ქორეოგრაფიულ ანსამ-  
ბლს „ფაზისს“ მიეცა დაკით ჯავარიშვილის  
სახელმძის დიპლომი. ენცერ ხაბაძის  
სახელმძის დიპლომი წილად ხვდა ბა-  
თუმის N1 საჯარო სკოლის ანსამბლ  
„ლილეს“, გიორგი სალუქევაძის სახელმ-  
ძის დიპლომით დაჯილდოვდა ოზურგე-  
თის საბაზშვო-ახალგაზრდული ანსამ-  
ბლი „მანანური“, ზუგდიდის ანსამბლი

„ლაზიგას“ გადასცეს ავთანდილ თათ-არაძის სახელობის დიპლომი. შოთა ჩახა-ვას სახელობის დაპლომი მიიღო ფოთის ანსამბლმა „არგონავტებმა“, ხელვაჩაუ-რის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ანსამბლი „ახალი თაობა“ დაჯილდოვდა თამაზ ბეჭანიძის სახელობის დიპლომით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანების კულტურის სახლის ანსამბლმა „კოლხა“ დაიმსახურა თოფან მელაძის სახელობის დიპლომი; ხარაგაულის „უბა-სი“ დაწინაურდა რომან ჭოხონელიძის სახელობის დიპლომით. აპაშის ანსამბლ „ანანურს“ ფატმა კობალაძის სახელო-ბის დიპლომი მიეკუთვნა. ოზურგეთის ანსამბლ „ფესვებს“ მიეცა იური ცინცაძის სახელობის დიპლომი. ოზურგეთის N1 სა-ჯარი სკოლის ანსამბლი „ლაშა-გიორგი“ გივი კოჯორაშვილის სახელობის დიპლო-მით დაჯილდოვდა. გივი ჩახავას სახელო-ბის დიპლომი გადაეცა ზუგდიდის N1 სა-ჯარი სკოლის ანსამბლ „ზეკარს“. ჯემალ ნავროზაშვილის სახელობის დიპლომით ერგო ქუთაისის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „აიას“. ბუხუტი დარახველიძის სახელობის დიპლომით დამტკიცდა ახალი კახათის ქო-რეოგრაფიული ანსამბლი. ფოთის ანსამ-ბლი „სამება“ გოგი ლვამიჩავას სახელობის დიპლომის მფლობელი გახდა. ჩხოროწყ-უს სოფელ ლესიჭინეს ქორეოგრაფიული ანსამბლის „ოქროს სანმისს“ ხოზაშვი-ლის სახელობს დიპლომი მიეკუთვნა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის ანსამბლ „კახათს“ ლერი მოსიას სახელობის დიპლომი ხედა წილად. აპაშის ანსამბლი „ჯანსულო“ გაიოზ გოგოლაძის სახელობის დიპლომით დაჯილდოვდა. ნინო რამიშვილის სახელობის დიპლომი ოზურგეთის სამრევლო სკოლის ქო-რეოგრაფიულ ანსამბლ „ზენაარსს“. წყ-ალტუბოს ანსამბლი „ეგრისის“ – ლატავრა ფოჩინის სახელობის დიპლომით.

ერთი სიტყვით, საფეხსტივალო ასპარ-  
ეზობა საინტერესოდ წარიმართა, რაზეც  
სათანადო მსჯელიბის საშუალება გვე-  
ძლევა. თავდაპირველად უნდა ვთქ-  
ვათ, რომ იგი მასობრივ-კულტურული  
ღონისძიებაა. თავისი ფორმის, სახეობი-  
თა და შინაარსობრივი თავისებურებებით  
საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურ-

შია, გამოირჩევა ორგანიზებულობით, იდეური მიზანის დასახულობით, ქართულ ხალხური ცეკვისთვის ზრუნვის მისწრაფებით ეროვნულობის ნიშან-თვისებებით.

ფესტივალმა წამო  
სწინ ხალხური ხელოვნები  
პის, ფოლკლორული  
მემკვიდრეობისადმი ერთ  
გულება... სხვადასხვა  
რაიონების, სოფლების მხე  
ატვრულმა კოლექტივებმა  
დაგვანახეს თავიანთი კოლორიტულ  
ქმნილებანი, აჩვენეს თუ რაგვარად მო  
ედინება ხალხური შემოქმედების ცხე  
ოვრება, როგორია ტრადიციულობისა  
და სიახლისადმი მიღდომის შესაძლე  
ბლობანი. სამაგალითოდ მოგვაქვს ფო  
თის ანსამბლ „ლაზიკას“ საფესტივალო  
სცენირების დახასიათება, უნინარესად  
ანსამბლის „ფერხული-ფარცანი“ გვაქვს  
მხედველობაში. ცეკვაში მეაფიოდადა  
გამოკვეთილი ხალხურობის სტილი და  
კოლორიტულობა. ფუძე-ილეთები კომბ  
ბინირებულ ქსოვილშია მოქცეული, შეს  
რულება ცოცხალი და ტევადია. ფიგ  
ურალობითაა მიმზიდველი, საცეკვაო  
სამოსელის გარეგნულობა, ფოლკლორუ  
ლი სისადავე, ჩაცმის სიკეტავე, შერ  
ჩეული მუსიკალობა ცეკვის მთლიანობის  
აქცენტირებული ნაწილია. ანალოგიური  
კონფიგურაციით ხასიათდება სვანური  
ვაჟთა ცეკვა „ცერული“. ნათელია, რომ

ქორეოგრაფი გიგლა თურქია შრომაულევი, მაძიებელი ხელოვანია, რომლის სადადგმო მუშაობის სახეა გაუხუნარისაცეკვაზ ფესვების გაახლება.

საცეკვაო ფესტივალის კიდევ  
ერთი დადგებითი მხარეა ის, რომ მას  
ში მონაწილე კოლექტივები გაეცენე  
ცალკეული ანსამბლებს სადადგმო  
შემოქმედებას. კარგად აღიქვეს თუ რა  
სტილით მუშაობენ აჭარის, გურიის  
ქუთაისის და სამეგრელოს სხვადასხვე  
მხარეთა ქორეოგრაფიული კოლექტივების  
ბი. მიეცათ თვალნათელი ანალიზის სა  
შუალება საბავშვო და უფროსი ასაკი  
ახალგაზრდების სცენურ გამოცდილება  
ზე. ერთგვარად ამომზეურდა შეხედულე  
ბანი, თუ რა გვაქვს მოსაწონი ან სულაც  
დასაგმობი და შეუსაბამო. მოსაწონია  
ის რომ კარგა გვარიანადა მასობრივი  
კოლექტივები. სცენაზე უფრო მეტად  
ქალ-ვაჟთა ანსამბლები ასპარეზობენ  
ხალხურობის ჯანსაღო დამოკიდებულება  
ის სურვილებიც მეტია, ვიდრე იგი აქმდე  
გაგვაჩნდა. მაგრამ კვლავაც საჭიროა  
და საპოლემიკო ხდება საასპარეზო რეპ  
ერტუარის საკითხი. დასანანია, რომ ვერ

ვნახეთ დარბაისლური სიამაყით სავსე სა  
ტრიფიალო შინაარსის „დავლურ-ქართული“. არადა, ეს ცეკვა ფერწაუვალი სახეები ქართული ჯიშისა და სულიერებისა. წარ  
სულიც ამის გამოძახილია! 1878 წელს, 20  
ნოემბერს აჭარელთა დეპუტაცია თბილისის  
ში რომ ჩავიდა, ქართველმა ერისკაცებმა  
(გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი

აკავი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და  
სხვები), იგივე მასპინძლებმა, აჭარელ  
სტუმართათვის გააჩაღეს „დავლური“  
და „ლევური“. ჩვენმა წინაპრებმა იცოდ  
ნენ ამ ცეკვის ფასი, თუნდაც რად ღირ  
გრიგოლ ორბელიანის სინაზულით სავს  
ნააზრევი: „ნეტა, ეს ერთი „ლევური  
(„ქართული“ – ზ.ა.) მაინც დარჩეს ჩვენ  
საპრალო ქართველებისაგან, რომელი  
ასე ადვილად იჯვლის ტერსა“.

ხიმშიაშვილი, ხუსეინ ბეჭანიძე, გულა  
აღა კაიკაციშვილი, რეჯებ ნიუარაძე და  
სხვები) კი საფერხულო ცეკვით, ესე იგე  
„ხორუმით“ დაამახსოვრეს თავი მასპინ  
ძლებს. სწორედ ეს გვინდა ვთქათ  
„ხორუმი“ ვერ ვიხილეთ საფესტივალი  
ასპარეზზე. არ იყო ლირიული „სამარა“  
ლაზური შრომის ცეკვა „მებადურული“  
მისი ნაწყვეტი მხოლოდ „კოლხური სუი  
ტის“ ჩარჩო ნახაზში მოექცა. ასევე არ  
გვქონდა იუმორისტულ-სპორტული ში  
ნაარსის ცეკვები, ხოლო ზოგიერთმა  
ქალთა ცეკვამ ლამის დაკარგა ქართულ  
იერსახე, აშკარად ეცვლებათ ფერი და სი  
ფაქიზე. ამიტომაც ვწერდი ამ ორი თვის  
წინ: „ჩვენს ცეკვებში, მეტადრე ქალთა  
საცეკვაო კომპოზიციებში არ უნდა  
შემოიჭრას ჩრდილოეთ კავკასიელთა და  
სხვათა საცეკვაო ნაწილები. შეუსაბამო  
მაღალი შესტომების გამოყენება, ფეხების  
უხამსი გაქნევები.

ყოველგვარ ესთეტიკურობას შორდება არაფრისმთქმელი სოლო-ბრუნვები ცერების დაუმთავრებელი ფეირვარკის

გაშმაგებული ჩაკვრა-ჩამუხლვები ყი  
უნით და სხვა უგემოვნო სტილიზე  
ბის გამოვლინებანი“ (ზ. ლაზიშვილი  
მადლიანი მწერლის მადლიანი „ალ  
ვანური“, გაზეთი „საქართველოს ქო  
რეოგრაფია“, აპრილი-მაისი, გვ. 13).

ფესტივალმა მყაფიოდ გადაგვიშალ  
სხვა შეუსაბამობანიც. საკუთრივ ის  
რომ ცეკვის ზოგიერთი დამდგმელი ერთ  
მანეთისაგან აცალებებს „ფერხულსა“ და  
„ფარცაკუუსა“. სცენაზე გამოაქვთ მხე  
ოლოდ „ფარცა“, რაც ბევრად აკინძება  
„ფერხული-ფარცას“ სრულფასოვნებას.

ცონიბისათვის კიტყვით, რომ 1951 წელ  
მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე,  
პირველად „ფერწული-ფარცა“ გამო  
ამზეურა ცეკვის ფილმის მისამა გიორგ  
გი სალუქვაძემ. მას მერე ეს შემოქმედებ  
ითი მონაპოვარი ეროვნული საცეკვაო  
ხალოგრანტის აღიარებაში მარათ ამი

ცელოვანი ცისუკვერთის მყარად და  
კვიდრდა. ახლა  
კი გაიოლებული  
საცეკვაო ფორ-  
მით გამოაქვთ  
სცენაზე. აქვე თავ-  
ისდაუნებურად ჩნ-  
დება კოთხაც: რამ  
განაპირობა „ფერხ-  
ულის“ და „ფარცას“  
განცალკევება და  
სცენაზე მხოლოდ  
„ფარცას“ გაცეკვე-  
ბა? „ფარცა“ ტემ-  
პის მქონე ცეკვაა,

ზოგიერთებმა გარეგნული ეფექტისათვის მას „მთიულურის“ თვისებანი შემატეს. მაგრამ, პოეტისა არ იყოს „აქედან არაფერი გამოვიდა რა“, პირუკუ სრულფასოვანი ცეკვა გვარიანად დაზიანდა, წაერთვა მონუმენტურობა, მშვენი სიძველის სახ-იერება.

ამ საფეხსტივალო პაქტობისას კვლავაც იჩინა თავი ცალკეული ცეკვის უმართებულო სახელწოდებებმა. საგანგებოდ შედგენილ საფეხსტივალო პროგრამაში ვიზიოლეთ ასეთი დასათაურებანი: „აჭარული“, „სვანური“, „აფხაზური“, „ოსური“, „მოხეური“, „ქალთა ხევსურული“, სხვათა შორის, ცეკვის სახელწოდების გარკვევის შესახებ ჯანმ ბაგრატიონიც წერდა. პროფესორ უჩა დვალიშვილის დაინტერესაბაც არ შეიძლება გვერდაულელი დარჩეს: „დაფიქრება სჭირდება ცეკვისათვის სახელწოდებათა შერჩევას. სახელწოდება ცეკვის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს და არა ადგილმდებარეობიდან... ცეკვებს არასწორად აქვთ დარქმეული სახელები, რაც სპეციალისტ-მკვლევართა ჩარევას მოიხსოვს“. მართლაც, ბედის ანაბარა არ უნდა მივატოვოთ ცეკვის სახელწოდებათა გაურკვევლობანი... 1955 წლის ნომერ მეორე უზრნალში „საბჭოთა ხელოვნება“ გამოქვეყნებული წერილის ავტორი ასახელებს „ლაზ მეილქნეთა ცეკვას“, რაც აშკარად უზუსტობაა. ალბათ, სათანადო კორექტირებას ითხოვს სახელწოდება „ლაზ მეთევზეთა ცეკვა“. არ ვიცით ამ ფეხსტივალზე რატომ უწოდეს „ლაზური“ საგანძაგანო წყვილურ გაცეკვებას. ეს საცეკვაო ნომერი უბრალო შეკდომად არ აღიმება.

ჩვენი მსჯელობის მიღმა ვერ იქნება საცეკვაო სამოსელი და აღკაზმულობა. საცეკვაო ჩაცმულობის გარეგნულობა, სისადავე ცეკვის სრულფასოვნების ერთ-ერთი კომპონენტია. ეს მოთხოვნა გულთან მიიტანეს ცალკეულმა კოლექტივებმა, რომლებმაც ყოველგვარ პომპეზურობას მოკლებული ჩაცმა-აღკაზმულობით დაამახსოვრეს თავი მაყურებელს. ასეთად გვესახებიან ანსამბლები „როკვა“, „ფაზისი“, „ლაზიკა“, „არგონავტები“, ზუგდიდის „ცისკარი“, ოზურგეთის „მანანური“, „ფესვები“, „არაონავტები“, ჭათაისის „აია“ და სხვაბი.

თუმცა არ შეიძლება არა ვთქვათ ზოგი-  
ერთებზე, უგემოვნო, შეუსაბამო შტრიხ-  
ებით, რომ აუჭრელებიათ ქალის სამოსი  
და ვაჟის ჩოხა-ჩაქურა. არადა, ჩვენი  
ნარსული არაერთ საამაყო მოვლენას  
გვახსენებს. ლაზეთის მეფე წათე ჩვენი  
წელთაღრიცხვის 523 წელს პიზანტიის  
სამეფო კარს ეწვია. ქართულ ტანისა-  
მოსში მიმზიდველად გამოწყობილმა,  
სიტყვა-პასუხით, გონიერებით მოხიბლა  
მასპინძლები. განსაკუთრებით მოიწონეს  
წათეს წალები, რომლის მიხედვით იმბ-  
ანად სამეფო კარის წევრები უკვეთავდ-  
ნენ თავიანთ ფეხსაცმელებს (სიმონ  
ყაუჩხიშვილი, აი, რას გვიამბობენ ძველი  
ბერძნები ქართველების შესახებ).

დიახ, ქართველთაგან ბევრი  
რამ გადაიღეს, მითვისეს და  
მითვა უორის, ჩვენ კი ისტო-  
 **პ.5**



33.5

◀ ვ.4 რიულ მონაპოვრებს საკადრი-  
სად ვერ ვუვლით. მეტსაც  
გეტყვით, ცეკვის დამდგმელთა ერთ  
ნაწილს, ყოველგვარი ანალიზის გრძეშე,  
შემოაქვთ ჩვენში სრულიად გაუცხოებული  
საცეკვაო „ჩანართები“, რაც საფუძველს  
უმაგრებს ქალისა და ვაჟის ერთნაირად,  
ერთი და იგივე საცეკვაო ლექსიკით ცეკ-  
ვას. სწორედ, ამგვარი უკეთური ტენდენ-  
ციების გამოხატულებაა, რომ ქართულ  
საცეკვაო ხელოვნებაში ფესვები გაიდგა  
ეგრეთ წოდებულმა „ქალთა ხორუმმა“.  
ყოველივე ამას დასავლურისადმი ბრმა  
მიმბაძელობა, თუნდაც უხერხემლო ქო-  
რეოგრაფიული რომანტიკა ჰქვია, რაც  
დაუბრკოლებლად შემოიჭრა ჩვენში.

საცეკვითმართებულია პროფესორების  
რეზო ბალანჩიერაძისა და რეზო ჭანიშვი-  
ლის კარგად აწონილი გამარტება, რომ  
„ქართველი მეომარი ქალის“ ტერმინიც  
კი არ გაგვაჩინია, სწორედაც ახმანებენ,  
რომ „ქალთა ხორუმი“ – საქართველოს  
ისტორიის ფალსფიცირებაა და, რაც  
მთავარია, ქართული ეროვნული ხასი-  
ათის სრული გაუთვალისწინებლობა და  
უგულვებელყოფაა“.

სხვა შეუსაბამობასაც ვერ მოუსუ-  
ჭავთ თვალს. ეროვნული ხასიათის  
სრული იგნორირებაა, რომ სვანურ ვა-  
ჟთა „ცერულში“ ვაჟებთან ერთად ცერე-  
ბზე ცეკვავენ გოგონებიც. გაუგებარია  
ცალკეულ ქორეოგრაფთა ცეკვა „კავკა-  
სიურით“ გატაცება. ეს უფრო მოჩვენ-  
ებითობის, პომპეზურობის, და, ბოლოს  
უნაყოფო შემოქმედების გამოხატულე-  
ბაა. სავებით სამართლიანად შენიშ-  
ნავს პროფესორი ოლეგ ალავიძე: „ამ  
ბოლო ღროს პოპულარობას იხვეჭენ  
„კავკასიური“ ტიპის ცეკვები, რომ-  
ლებიც საოცრად ჰქავს ერთმანეთსა და  
რომელთა „კავკასიურობა“ ჩქარ ტემპში  
შესრულებული ილეობის კორიანტელია  
ყოველგვარი აზრობრივი დატვირთვის,  
სიუჟეტური ხაზებისა და იდეების გარეშე.  
არც ის არის უყურადღებოდ დასატოვე-  
ბელი, რომ ცეკვები არსებითად, „მთიუ-  
ლურების“ ტექნოლოგიურ მასალაზეა  
დაფუძნებული და ვერც კი გაიგებ, ვინ  
ვისგან სესხულობს და რას იღებს (ოლეგ  
ალავიძე, 110 წლიანი მთლიანობა, გაზეთი  
„საქართველოს ქორეოგრაფია“ N1, იან-  
ვარი, 2011 წელი).

ასე რომ ქართულ ცეკვებში უხეირო,  
სრულიად შეუსაბამო ნეგატივების შე-  
მოტანის უმთავრესი მიზეზები შესასწავ-  
ლია და დასაგმობიცაა. სიღრმისეულად  
უნდა მიუვდეთ ფონოგრამული საცეკვაო  
მუსიკის მოძალებას. ყველანაირად გან-  
ვსაზღვროთ მისი გამოყენების დადებითი  
ან უარყოფითი დანიშნულება.

ამრიგად, კოლხურ-ლაზური საცეკვაო  
ფესტივალი არცთუ ისე ცოტა კითხვაზე  
იძლევა სადღეისო პასუხებს. იგი უთუოდ  
არის „სანურთელი და სარგებელი“,  
როგორც თეომურაზ პირველი იტყოდა  
„სულისა გასანათერი“.

ამ ფესტივალმა ჩვენს ახალგაზრდო-  
ბას გულის სინათლე მოჰყინა, უკეთ  
აგრძნობინა ყველას, რომ ეროვნული  
ქორეოგრაფიისთვის სამსახური ჩვენი  
ქვეყნის, ხალხის სულიერებისთვის სამ-  
სახურია. შთაგვაგონა, რომ არსებობს  
ერთი უტყუარი ჭეშმარიტება: – ვიცეკვ-  
ოთ ქართულად, უქნობი ტრადიციული  
სახე შემოფარგლუნახოთ დიდ მოლვანებთა მიერ  
სულისფერებით გამოტარებულ შემოქ-  
მედებით მემკვიდრეობას.

#### ზარ ლაზიშვილი

საქართველოს ქორეოგრაფიის  
მოლვანეთა შემოქმედებითი  
კავშირის თავმჯდომარის მოადგილე,  
აჭარის დამსახურებული არტისტი,  
საქართველოს დამსახურებული  
პედაგოგი, ლირების ორდენის კავალერი

# თამაზ ბეჭანიძის ხელვის სალამ



საქართველოს ქორეოგრაფიის მოლ-  
ვანეთა შემოქმედებითი კავშირის გამ-  
გეობამდანმდებრივი საქართველოს ტაძარ-  
ის ახალგაზრდული კულტურის ცენტრში 2012 წლის 15 დეკემბერს გამართეს გამო-  
ჩენილი ქართველი ქორეოგრაფიის, ენვერ  
ხაბაძის სახელობის პრემიის ლაურე-  
ატის, აჭარის მ.კუხიანიძის სახ. სიმღე-  
რისა და ცეკვის დამსახურებული ანსამ-  
ბლის ყოფილი ხელმძღვანელის თამაზ  
ბეჭანიძის სხვნის საღამო.



# ამპირიზმის სახელობრივი ბიოგრაფიის ცავიდა

უდაოდ, მოუშენებელი ტკივილია, რომ ადარ გვყავს ძეირფასი მეგობარი, ქართველ კაცობით ნაქები, საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანი თამაზ ბეჟანიძე უკურნებელმა სენმა ჩააქრო მისი სიცოცხლე. სიცოცხლე კი მისთვის დიდი ადამიანური მოვალეობა იყო. მუდამუამს მოუსვენარი საერთო-სახალხო საქმისა და ქვეყნისთვის ზრუნვადა. არ ნებდებოდა მოქანულობას, ცხოვრების რიტმის დარღვევად მიაჩნდა უმოქმედობა. მართლაც სამაგალითო თვისებებით გამოირჩეოდა. ჩინებულად გაეგებოდა დიდი ილია ჭავჭავაძის შეგონება: „...რასაც ვმსახურობთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ“. ამ მხრივ, მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მოუღლელი გუთნისდედასავით ეწეოდა ქართული ცეკვის მძიმე სახის, ყველგან თავისი „კვალი განახლებული“ დაწოვა.

ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იღვა-  
ნა მგზებარე გულის ხელოვანმა, რომ  
იტყვიან, „ერთი დღეც არ ჰქონია მშვი-  
დი, უსატევოვარო“. სამაგიეროდ, ძნელად  
ჩამოსათვლელია სანაქებო განცდები,  
მზენაქები გამარჯვებები, თავისი შემოქ-  
მედებითი ცხოვრების გზა-სავალზე რომ  
გოვაკოვდია.

სახელოვანი შემოქმედის ნაშრომ-  
ნაჯაფზე, საშვილიშვილო მონაპოვრე-  
ბზე არაერთი ჰუბლიცისტური წერილი,  
ნაკვევი დაიწერა, ყველა ისინი დაბა-  
ჯერებდლად მოგვითხრობენ მის უქრობ-  
ნიჭირებაზე და ტალანტზე.

...ბავშვობისას ბათუმის მოსწავლე-ახ-  
ალგაზრდობის პარკის ანსამბლში ცეკვავ-  
და. შრომისმოყვარეობასაც უწონებდნენ  
და ხალისან სცენირებას.

ყველას ანცვიორებდა ამ ცეცხლოვანი  
ახალგაზრდის შეუძარებელი საცეკვაო  
გარდასახვები. გასაკვირიც არ იყო, რომ  
თექნიკური წლის ბიჭი აჭარის პროფესი-  
ული ანსამბლის სოლისტი გახდა. უფროს  
კოლეგებს იმის მაგალითიც კი უჩვე-  
ნა, რომ არ არსებობს დიდი და პატარა  
როლი, არსებობს მხოლოდ ნიჭიმომადლე-  
ბული მსახიობი-მოცეკვავე.

უნდა ითქვას, რომ საკმაო გამოცდილება დააგროვა. მონაწილეობდა თბილისში ჩატარებულ აჭარის ლიტერატურისა და

წელოვნების დეკადის დღეებში. 1955-წელს მოსკოვის მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექესე საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატიც გახდა გამორჩეული სახიერებით ამასლოვრებლთავს საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების მოყვარულებს. როგორც წესამონადინებით ეცნობოდა სხვა ხალხების კულტურას, ყოფას, საცეკვაო ფოლклორს, მხატვრულ თვითმოქმედებას და პროფესიურ შემოქმედებას. მთავარმაინც ქართული კულტურის მსახურება იყო. ყოველთვის პოლიობდა დრონი წიგნიერებისა და ცოდნა-განათლებისა მასლობისათვის, სხვაგვარად პედაგოგიკორეოგრაფის მისათვის, ცეკვის სადადგმობულების თვალთახედება უნაყოფო მიაჩნდა. მიზანდასახულობით გამოირჩინდა.

ჩეოდა. ამბობდა კიდევაც: „ქართული სისხლითა და ჯიშით უნდა ვემსახურო ქვეყანას, ხალხს, ახალგაზრდობას“. სიტყვა საქმედ აქცია: საკმაოდ წარმატებული, სანიმუშო საბავშვო ანსამბლებ ჰყავდა ჩვენი ქალაქის პრესტიულ სკოლებში, ცნობილ სკოლისგარეშე დაწესებულებებში. შემოქმედებითი ხელნერული ადგილად გამოსარჩევი იყო. ხატოვნა

აფერადებდა თითოეულ საცეკვაო ქწ  
ნილებას, აზრით სავსე საცეკვაო ხიბლით  
ძერნავდა აჭარულ ხალხურ კომპოზიციას  
განსაკუთრებული ღლექსითა შეჰქონდა  
საოლიბიადო და საკონკურსო ცეკვებში  
ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოზარდა  
რომელთა ნანილი ამშვენებდა საქართველოს  
ველოს რჩეულ ანსამბლებს.

საინტერესოა, რომ გაკვეულ წლებში ჩამოაყალიბდა ვეტერან მოცეკვავეთა ანსამბლი, რომელიც აქარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოებისახელით გამოდიოდა ჩვენს მხარეში უცხოეთის ქვეყნებში, სამთავრობო ღონისძიებებზე.

**1997-2008** წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ტბეთა სელმძვანელობდა და არაერთი წარმატება მოაპოვებინა საერთაშორისო ფესტივალებზე.

პოლუარულ ხელოვანს საზღვარგარე

თაც ინვევდნენ. ჩინებულად დაა-  
მუშავა „განდაგანა“ ერევნის სიმ-  
ღერისა და ცეკვის სახელმწიფო  
ანსამბლი, მოსკოვის ქართული  
ცეკვის ანსამბლ „კოლხიდასა“ და  
„ივერიას“ შემატა თვალდასატანე-  
ბელი კომპოზიციები, გააცნო მათ  
სასწავლო-საწვრთნელი სადადგმო  
მუშაობის მეთოდიკური სიახლენი,  
ატარებდა შინაარსიან ლექცია-  
საუბრებს. მის ცეკვებში მცაფიოდ  
გამოსჭივილა ავტორის ბუნება-  
სასიათი, შინაგანი კულტურა,  
ქართული მაღლმოსილება და, ასე  
განსაჯეთ, ნამდვილი ქართული  
კუთიოლშიობილება და არისტოკრატი

მრავალმხრივმა ხელოვანმა ა

მხეიძე, რეზო ჭობონელიძე, უჩა დვალიშვილი, თენგიზ უთმელიძე, რეზო ბალანტიშვილი



მხეიძე, რეზო ჭობონელიძე, უჩა დვალიშვილი, თენგიზ უთმელიძე, რეზო ბალანტიშვილი

მოწოდებით შეხვდა მაყურებელი ბა-  
თუმის ხელოვნების ცენტრში გამართულ  
სადღესასწაულო კონცერტს, რომელიც  
მიეძღვნა აჭარის დიდი ანსამბლის 90  
წლისთავს. სახელოვანი ანსამბლის შემო-  
ქმედებით ცხოვრებაზე დამაჯერებლად  
მოუთხრო საზოგადოებას ანსამბლის  
დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღ-  
ვანელმა, გამოქვეყნდა მისივე ბრძოლურა  
ლამის საუკუნის თანატოლი კოლექტივის  
შესახებ.

და ბოლოს, ვიტყოდით, რომ ბატონ  
თამაზ ბეჭანიძეს მეტად თბილი ოჯახი  
ჰყავს... ნოდარ დუმბაძეს დავესესხები: –  
„მამა გვაკვდაო – მისმა შვილებმა უნდა  
იტრაპახონ, მეგობარი მყავდაო – მისმა  
მეუღლემ უნდა თქვას, შვილი გავზარდეო  
– ჩვენი მხარის ხალხმა უნდა დაიქად-  
ნოს“.

მართლაც და, განუზომელი მადლობა  
უნდა ვუთხრათ სამუდამოდ თვალდახუ-  
ჭულ დიდებულ მოღვაწეს, რომელიც ვალ-  
მოხდილი და სახელოვანი ბიოგრაფიით  
ნავიდა ამქვეყნიდან.

ზაურ ლაზიშვილი  
საქართველოს ქორეოგრაფიის  
მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის  
თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის  
დამსახურებული არტისტი, საქართველოს  
დამსახურებული პედაგოგი, ღირსების  
ორთანის აკადემირი

# „ԲՈՐԵԱԼ ՍԵՐՈ“

ბაგშევობაში ბევრი რამ გამეგონა გივი ჩიჩუას შესახებ, მეამაყებოდა, რომ ჩემი თანაქალაქელი საქართველოს „დიდი ანსამბლის“ მოცეკვავე სოლისტი იყო. სულგანაძულს, საათობით შემეძლო მესმინა მთხოვნელისთვის ამ თვალ-ნარმტაცი გარეგნობის ხელოვანზე, უხილავ სურათოვნებაში რომ მისახავდნენ მის გრაციოზულობას, მაგრამ მონათხრობს თვალხილული ყოველთვის სჯობს და ეს ბედნიერებაც მეწვია: კინოფილმი „მსოფლიო ტაშს უკრავს“ გივი ჩიჩუას საშემ-სრულებლო ინდივიდუალობასაც გვაცნობდა. არადა, ცეკვის ოსტატები ცოტა არ იყვნენ ორმოცდაათიანი წლების სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლში. სურათის ერთ ნაწილში ბათუმელი მოცეკვავე მეტად შთამბეჭდავად იხატებოდა. უფრო სწორედ, გრძელეული ცერ-ილეთებით თვითონ ხატავდა მშვენიერებას. მისი აღმოჩენა მოულოდნელი არ ყოფილა: თავდაპირველად ბარცხანის სკოლის საცეკვაო კოლექტივში ჩაენერა, აქაოდ, მამაჩჩემს უნდოდა მეცეკვაო, რომელიც სამამულო ომში დაიკარგა. ყველაფერი იღონა დედამისმა, ქალბატონმა ბაბილონან შეიღებისთვის. მეუღლის ოცნება რეალობად აქცია. პატარა იგივი მოცეკვავე ბაბუკვებში გამოიჩინდა, ადვილად ითვისებდა სალხურ ცეკვებს, „მთიულური“ განსხვავებულად შვენოდა. თმასუჭუჭა ბიჭი ყველაზე ადრე ინყებდა რეპეტიციას და

სცენური სანახაობით ხასიათდებოდა. ლაბაზი ხარ, ქალაუ „ერქვა იმ საცეკორიგინალს, ხელოვნების „მომხმარებელს ასე რომ აჯაღორებდა. უნდა ითქვას, უძლიერესმა მოცეკვავემ ცერ-ილეთუ მთელი სერია შექმნა. გამოთქმა „წუას ცერი“ მტკიცედ დამკვიდრდა რეოგრაფიულ მეტყველებაში. „გივი წუამ უდავოდ ნარუშელელი კვალი დატქართულ ხალხურ საცეკვაო ხელოვნები იგი იყო მაღალი კლასის, მგზნებარეტისტიზმით დაჯილდოებული მოცეკვრაც ნათლად ჩანდა „მხედრულში“, „მევურ-ყაზბეგურში“, „სვანურში“ და „ჯიბრში“, გან დამკვიდრა ახალი, უქრცერ-ილეთები სამთიულურო ცეკვები – ასე შეაფასა გივი ჩიჩუა საქართველოს მთავრობისა და ცეკვის სახელმწიფო ანბლის მთავარმა ქორეოგრაფმა რეჭობონაოდიძმ.

საგულისხმო ფაქტია 1953 წელს ქუბარესტის მსოფლიო ფესტივალი, დაც 111 ქვეყნის 300 000 ახალგაზრდა მონანგილეობდა. ფესტივალის შუალედად ქუბინი თხოვნით ქართველი ცეკვავები განმეორებით გამოჰყავდა სცენაზე. „შიური მოცეკვავებს“ დაწერდა; – წერდა ქართლოს კასრული კიდევ გაემეორებინათ ცეკვები, რასა დიდი ყოყალის შემდეგ, დაეთანხმა იღლუსუნიველი, თუმცა ეს საკრთაშორის კონკურების პრატიკიაში უპრეცედენტული შემთხვევა გახლდათ. მსოფლიო ფესტივალზე განსაკუთრებული ნარმატება დათ სცენის „ვარსკვლავებს“ (როგორ

...შემოდგომის წლებმა ვერ ათქმევინეს უარი ხელოვნებაზე. მე ვიხილე სამოც-დათხუთმეტი წლის მოცეკვავე, რომელ-მაც ყელას აუთოლოდა გული თავისი შეუდარებელი (ცერ-ილეთით. მისი ცეკვა ხომ მშვინიერება იყო, რომელიც თაობებს გაულამაზეს ყოფიერებას. „მშვინიერე-ბას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა, რომ სილამაზემ იფერადოს ვარდის კონებად“ (უ. შექსპირი).

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ



ეროვნული კადაგოგია

# საპატიო ქონიგრაფიას მიხელვა სჭირდება.

ქართული საცეკვაო ხელოვნება უდავოდ მაღალ პედესტალზე დგას, მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ჩვენი პროფესიონალი თუ თვითმოქმედი, მუნიციპალური, საბავშვო ქონიგრაფიული ანსამბლები, თითქმის უმრავლესობაზე მეტი, წარმოუდგენლად მაღალ დონეზე ცეკვავენ თავისი შესაძლებლობის, ნიჭის, მონაცემების ფარგლებში, მაგრამ აუცილებლად გადასახედია ბავშვთა ქონიგრაფიული ანსამბლების რეპერტუარი, განსაკუთრებით საფრთხილოა 5-დან 12 წლამდე ვაჟების ფიზიკური მდგომარეობა, რამეთუ ძვალი ჯერ ფორმირებული და ფიზიოლოგიურად მყარი არ არის, ამიტომაც მუხლზე დაცემები, მუხლზე ვარდნები, მუხლიდან ახტომები და შემდეგ ვარდნები, სასურველი იქნება თუ გვიან ასაკში შევასწავლით, 12 წლიდან. ასეთი მიდგომით დავიცავთ მათ ჯანმრთელობას და მათ ფიზიკურ მონაცემებს ნიჭით ერთად, რითაც სწორი მიმართულება მიეცემა განვითარებისათვის.

აუცილებლად მოსაგვარებელია საბავშვო რეპერტუარი და მიმართულებების განსაზღვრა, კარგი იქნება თუ ბავშვებისათვის ქონიგრაფები მოამზადებენ სიუჟეტურად შინაარსით დატვირთულ ცეკვებს, რათა ბავშვი თავიდანვე ჩასწრება საცეკვაო ნიუანსებს, ხშირ შემთხვევაში ჩვენი კოლეგები განსაკუთრებით რთულ კვალით ნახაზებზე ამუშავებენ მოსწავლეებს, რაც არღვევს პრინციპს სწავლისაც პერსიულ ცეკვია მარტივიდან რთული საკუთრებით არღვევს პრინციპს საცეკვაო ნიუანსებს და მათ ფიზიკურ მონაცემებს ნიჭით ერთად, რითაც სწორი მიმართულება მიეცემა განვითარებისათვის.

უნდა დალვაროს, რომ მოსწავლე მიიყვანოს კონდიციამდე, რის შემდეგაც, მშობელს შეუძლია თავისი შვილი გადაიყვანოს იქ სადაც მას მოესურვება და ნებისმიერი პროფესიონალი ანსამბლი, რომელიც სახელმწიფო დოტაციაზე, მიღებს ამ მოცეკვავეს. რა რჩება ქონიგრაფას, ვინც გაზარდა? – შრომა, ოფლის ლვრა, წვალება და დაუფასებლობა!

ეს ადამიანის უფლებების აშკარა კანონდარღვევაა, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ამაზე ფიქრი და ზრუნვაა საჭირო, ჩვენს გასაკეთებელს სხვა არავინ არ გააკეთებს. ამ საკითხის სასწრაფოდ მოგვარებაა საჭირო. აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს სერიოზული დამოკიდებულება საბავშვო ქონიგრაფიის მიმართ. ქართულმა საბავშვო ქონიგრაფიამ, რომელიც მადანია იმ სახელმწიფო ანსამბლებისათვის, რომელთაც ათემევინეს მსოფლიო მაყურებელს, რომ ქართული ცეკვა მსოფლიოს მერვე საოცრებაა. დუხტირმა ცხოვრებამ, გაუსაძლისმა პირობებმა, სახელმწიფოს მიერ უგულო დამოკიდებულებამ შეამცირა მოსწავლეთა რაოდენობა ბავშვთა ანსამბლებში, დაანგრიეს კლუბები, კულტურის სახლები, გააუქმის ქონიგრაფიული სტუდიები და ამან გამოიწვია თვითნაბადი ტალანტების დეფიციტი. თუ სახელმწიფო ფინანსური დახმარება არ აღმოჩენის კლუბმა, ისინი კანონით ვალდებული არიან ფინანსური კომპენსაცია გაუკეთონ იმ სკოლას, საიდანაც აიყვანეს ფეხბურთელი. რატომ არ შეიძლება იგივე გაკეთდეს ქართულ საბავშვო ქონიგრაფიაში?

ქონიგრაფი კოლოსალურად იხარჯება, როგორც გონივრულად, ასევე ფიზიკურად, რამდენი როგორის მიმართულების მიმართ სანინალდარია. როგორ სანინალდებო სიტუაციას ვხვდებით, ანუ ანსამბლებიდან ხდება მოსწავლეთა

უნდა დალვაროს, რომ მოსწავლე მიიყვანოს კონდიციამდე, რის შემდეგაც, მშობელს შეუძლია თავისი შვილი გადაიყვანოს იქ სადაც მას მოესურვება და ნებისმიერი პროფესიონალი ანსამბლი, რომელიც სახელმწიფო დოტაციაზე, მიღებს ამ მოცეკვავეს. რა რჩება ქონიგრაფას, ვინც გაზარდა? – შრომა, ოფლის ლვრა, წვალება და დაუფასებლობა!

ეს ადამიანის უფლებების აშკარა კანონდარღვევაა, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ამაზე ფიქრი და ზრუნვაა საჭირო, ჩვენს გასაკეთებელს სხვა არავინ არ გააკეთებს. ამ საკითხის სასწრაფოდ მოგვარებაა საჭირო. აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს სერიოზული დამოკიდებულება საბავშვო ქონიგრაფიის მიმართ. ქართულმა საბავშვო ქონიგრაფიამ, რომელიც მადანია იმ სახელმწიფო ანსამბლებისათვის, რომელთაც ათემევინეს მსოფლიო მაყურებელს, რომ ქართული ცეკვა მსოფლიოს მერვე საოცრებაა. დუხტირმა ცხოვრებამ, გაუსაძლისმა პირობებმა, სახელმწიფოს მიერ უგულო დამოკიდებულებამ შეამცირა მოსწავლეთა რაოდენობა ბავშვთა ანსამბლებში, დაანგრიეს კლუბები, კულტურის სახლები, გააუქმის ქონიგრაფიული სტუდიები და ამან გამოიწვია თვითნაბადი ტალანტების დეფიციტი. თუ სახელმწიფო ფინანსური დახმარება არ აღმოჩენის კლუბმა, ისინი კანონით ვალდებული არიან ფინანსური კომპენსაცია გაუკეთონ იმ სკოლას, საიდანაც აიყვანეს ფეხბურთელი. რატომ არ შეიძლება იგივე გაკეთდეს ქართულ საბავშვო ქონიგრაფიაში?

აუცილებელია ყველა სკოლაში დაუშვან ქონიგრაფიის შტატი მაღალი ანაზღაურებით, ასევე საშტატო ერთეულები ორ მუსიკის აკომპანიატორზე, რაც მოგვცემს სამუშაოებას შევარჩიოთ საუკეთესო მონაცემების გოგონები და ვაჟები და კვლავ



ამუშავდება ულევი საბადო. უსახსრობაში ქონიგრაფთა 80% იძულებული გახადა, უარი ეთქვათ ცოცხალ მუსიკალურ თანხლებაზე და ბავშვებთან მუშაობენ ჩანაწერი ფონოგრამებით. ფონოგრამა ფონოგრამას გააჩნია: ბევრი ჩვენი კოლეგა ამას ნიჭირად აკეთებს, ვერაფერს შეედავები, ხოლო მავანი, სადაც რას წააწყებიან, წვალებით აკომპლექტებენ საცეკვაო მუსიკებს, ხშირად ხდება გაუგებრობები, სავტორო უფლებებზე კამათი და რიგი უსიამოვნებები. კარგად ჩანერილი მუსიკები, გახმოვანებული ხმის გამაძლიერებლებით კარგად უღერს, ყურისთვის სამოა, მაგრამ სილრისეულად თუ დავიუქრდებით, მოსწავლეთა აღზრდის პროცესში ცოცხალი მუსიკა შეცვლელია ყველა ასპექტის გათვალისწინებით და რაც მთავარია, ქართული ცეკვა, ქართული საცეკვაო მუსიკა თანხმებრდილი არიან და ერთად მიაღწიეს იმ სიმაღლეს, რომელიც ასეულ წლებს ითვლის. კონსესუს უნდა მივაღწიოთ ქონიგრაფებმა, მუსიკის აკომპანიატორებთან და კვლავ ერთად გავაგრძელოთ ეროვნული საქმის კეთება, იმ საქმისა, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს!

იური ტორავა

საქართველოს ქონიგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

## ეროვნული ხელოვნების სწავლების ზოგიერთი აქტუალური საკითხი

**ავ.7** წყობის, დამოკიდებულების, ფასეულობათა აღიარების მომენტებს;

თუ მოსწავლეებს პრობლემები აქვთ შესასავლი მასალის გაგების თვალსაზრისით, საჭიროა თვით ასათვისებელი მასალის საერთო მოცულობა დაიყოს მცირე ნაწილებად. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოზარდის შესაძლებლობები. დაუშვებელია ყველას თანაბარი სირთულისა თუ მოცულობის ამოცანები შევთავაზოთ.

ბავშვის მიღწევა თუ მარცხი უნდა განვითაროთ ინდივიდუალურად, თანაგრძნობის ატმოსფეროში თორგანიზებული საუბრების დროს. პედაგოგი უნდა დაინტერესდეს იმის გარკვევით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მოზარდის შესაძლებლობების დაიყოს განვითარების მიმართ. მომენტი და მოვალეობის მიმართ სანინალდარია. როგორ სანინალდებო სიტუაციას ვხვდებით, ანუ ანსამბლებიდან ხდება მოსწავლეთა

მიმართული აქტივობა.

მოსწავლეებს, რომლებიც მარცხის აცილების მიზნით გაურბიან რთულ დავალებებს, უნდა შევთავაზოთ ისეთი დავალებები, რომელთაშესრულებასაც ისინი წარმატებით შეძლებენ.

მხოლოდ ამის შემდეგ უნდა წავაქ-ეზოთ ისინი უფრო რთული მიზნების მისაღვევად. დაუშვებელია, მოსწავლეს ჩავუკლათ პერსპექტივის შეგრძნება! მას არასოდეს უნდა ვუთხრათ, რომ „სულერთია, ის მაინც ვერაფერს მიაღწევს“... მისაღვევად. დაუშვებელია, მოსწავლეს ჩავუკლათ პერსპექტივის შეგრძნება!

მისაღვევად. დაუშვებელია, მოსწავლეს ჩავუკლათ პერსპექტივის შეგრძნება! მას არასოდეს უნდა ვუთხრათ, რომ „სულერთია, ის მაინც ვერაფერს მიაღწევს“...

პედაგოგ-ქონიგრაფის უმეტეს წილად ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის შესრულება უხდება.

ერთსაც და მეორესაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვთ. ფაქტია, რომ ქონიგრაფიაში ინდივიდუალური მუშაობა-ვარჯიშის მეთოდის გამოყენების გარეშე წარმატება არ მიღწევა. ამასთან ინდივიდუალური მუშაობის დროს მოზარდების დროს მოსწავლების შევარჩიოთ საუკეთესო მონაცემების გ

## ქორეოგრაფიული პერსონაჟები

# კონფიდენციალური სტრუქტურების მოვლენების შესახებ

„ცეკვა 6 ნლის ასაკში დავიწყე. თავიდანვე უზომოდ მიყვარდა. ვწერდი და ვოცნებობდი ცეკვის მასწავლებლობაზე, მაგრამ ჩემი მასწავლების პადაგოგიკის უცოდინარობის გამო ხშირად მხვდებოდა ე.ნ. ხმალი. ყურს იმდენად მნარედ გვიწევდა, რომ სიმწრისაგან ცრემლები გვცვიოდა. ეს იყო პატარა დიქტატურა და ჩვენც დაპროგრამებულებივით შიშის ქვეშ ვაკეთებდით ჩვენთვის გაუგეპარ რაღაც ილეთებს. ამის გამო, ბავშვობაში ცეკვა შემძლდა და მისი სსენებაც აღარ მინდოდა...“. ეს ერთ-ერთი ამონარიდია ჩემი სტუდენტის თ.ა. მიერ ცეკვის პედაგოგიკის შესახებ დაწერილი თემიდან.

პრობლემა, რომელსაც მე ვეხები, ქართული საზოგადოებისთვის საკმაოდ კარგად არის ცნობილი. სტუდენტთ თ.ა. მიერ საშინაო დავალებაში წამოჭრილმა ამ საკითხმა, კიდევ ერთხელ შემახსენა მისი აქტუალობისა და პედაგოგ-ქორეოგრაფთა გადამზადების აუგილობრობის შესახებ.

ვერ ვხვდები რატომ, მაგრამ, თითქოს მივეჩვიეთ, რომ ცეკვის მასწავლებელს (განსაკუთრებით ქართული (ცეკვის) დიდი ჯონი, გრძელი ქამარი ან განიერი ხელის მტევანი მანიც უნდა ჰქონდეს. ეს ქართველი ქორეოგრაფების უმეტესი ნაწილის იც გულისხმობს ნებისმიერ სიტყვიერ ან ქცევით ზემოქმედებას ბავშვზე შინ შის მდგომარეობის პროვოცირებით ხოლო, ბავშვის ცემა, ყურის აწევა თმების მოქაჩვა და ა.შ. – კი ფიზიკური ძალადობაა.

რეალური სახეა. მათ კი ერთი სერიოზული პრობლემა აერთიანებთ – თავიანთი რისხვის კონტროლის უუნარობა.

აი ასე, მარტივად, ერთი ხელის  
მოქნევით გადაჭრეს ქართველმა ქო-  
რეოგრაფებმა დიმიტრი უზნაძისუ-  
ლი აღზრდის ტრაგედიის სახელით  
მონათლული პრობლემა. საქმე იმ-  
აშია, რომ მასნავლებლის საქმიანობა  
და მოლოდინი შორეულ მიზანზეა  
დაფუძნებული, ბავშვი კი თავისი  
ასაკობრივი თავისებურებების გამო

დღევანდელი დღით ცხოვრობს, მას  
დღესვე უნდა თამაშიც და გართობაც.  
პედაგოგ-ქორეოგრაფები ამას თავნე-  
ბობას მიაწერენ და „ურჩი“ ბავშვების  
აღსაზრდელად მამაკაც ქორეოგრაფ-  
თა უმრავლესობა ფსიქოლოგიური  
თუ ფიზიკური დასჯის სხვადასხვა  
მეთოდების ძიებიაში არიან.

გაუთავებელი სხვადასხვა სახის კრიზისის ფონზე საზოგადოება ინ-დიფერენტულია ბავშვთა ძალადობის პრობლემის მიმართ. სიტუაცია იმი-თაც რთულდება, რომ საქართველოში მის დამჯელობად გვალიზინება გაფრ-

ცელებული ანდაზები და გამოთქმები  
როგორიცაა “შვილი გაზარდე მტრად  
მოყვარედ გამოგადგება”, “მტკიც  
ხალი”, თა სხვა.

დაყვირება, განზრახ დამცირება  
შერცხვენა, ბავშვის დაჩაგვრა, და  
თრგუნვა და ა.შ. – მენტალური  
ფსიქოლოგიური ძალადობაა, რომელ  
იც გულისხმობს ნებისმიერ სიტყვიერ  
ან ქცევით ზემოქმედებას ბავშვზე ში  
შის მდგომარეობის პროვოცირებით  
ხოლო, ბავშვის ცემა, ყურის აწევა  
თმების მოქაჩვა და ა.შ. – კი ფიზი  
კური ძალადობაა

ძალადობის უამრავი განმარტება  
არსებობს. ჯანდაცვის მსოფლიო ორ  
განიზაციის განმარტებით, „ძალადო-  
ბა არის ფიზიკური ძალის ან ძალაუ-  
ფლების განზრახ გამოყენება რე-  
ალური ან მუქარის სახით მიმართული  
საკუთარი თავის, სხვა პირის, პირთა-  
ჯგუფის ან თემის წინააღმდეგ, რომ  
ლის შედეგს წარმოადგენს (ან ამის  
აღბათობის მაღალი ხარისხი არსე-  
ბობს) სხეულის დაზიანები, სიკვდი-  
ლი, ფიქოლოგიური ტრავმა, გად-  
ახრები განვითარებაში ან სხვადასხვ-  
სახის ზრუნვა.

ამგვარად, გამოთქმა „ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების გამოყენება“ უნდა გავიგოთ, როგორც სასტიკა მოპყრობის ნებისმიერი ფორმა (ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური). ამგვარი განმარტება ძალა დობის შედეგების ფართო წრეს მოიცავს, მათ შორის ფსიქოლოგიურ ზიანს, ჯანმრთელობის შერყევას და გადახრებს განვითარებაში“ (ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები თბილისი, 2011 წელი).

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაში ამ ტრაგიკული ფენომენი

მოხსნა მარტივად ხერხდება, თუ მას წავლებელი სწორად მუშაობს, თუ ითვალისწინებს ბავშვის ზოგად ფიზიკურ ფსიქოლოგიურ და გონებრივი განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. ცეკვის სწავლებას კი სპეციალური ქორეოგრაფიული განათლების გარდა, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებების საფუძვლიანი ცოდნა ესაჭიროება, რამეთუ, როგორც გერმანელები ამბობენ „ვერ იქნები მასწავლებელი, თუ არ ხარ ფსიქოლოგი“. ამის კრიზისი კი ნამდვილად ეტყობა XIX საუკუნის ქართულ

## ქორეო-პედაგოგიკას.

სამწუხაროდ, ბევრ მათგანი  
დღესაც გულწრფელად სჯერა, რომ  
სიმკაცრეს, შეყვირებას, ლანძღვასა  
და ხელის შეხებასაც კი გაცილებით  
ქრისტე შეიძლება მოსისი.

ბავშვთა მიმართ ძალადობასა და  
უგულვებელყოფას აქვთ როგორც  
მოკლევადიანი, ასევე გრძელვადია  
ანი შედეგები. პირველ რიგში, ძალა  
დობა და უგულვებელყოფა მთლია  
ანად ამახინჯებს ბავშვის ცხოვრებას  
მის პიროვნებას: უარესდება ბავშვის  
ფიზიკური ჯანმრთელობა, ბავშვს უჩი  
ნდება სოციალურ-ფსიქოლოგიური  
პრობლემები, ბავშვი ვარ აონჯას წარ

მატებებს განათლებაში და სხვ. ძალ-  
მომრეობის პირობებში აღზრდილი  
ადამიანის განვითარების ხაზი, ხშირ  
შემთხვევაში არასწორად მიემართება  
და ოდესმე აუცილებლად იჩენს თავს.  
ალსანიშნავია, რომ ზედმინევნითი  
შენიშვნა-დასჯის პირობებში ბავშვი  
საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებში  
ეჭვდება („ეს ილეთი არასოდეს გამო-  
მივა“) და კარგავს თვითდაჯერებუ-  
ლობას, სწავლის სურვილს.

პედაგოგობა მოითხოვს მოთ-  
მინებას, სიმშვიდეს, ტაქტს და სხ-  
ვათა მოსაზრებების შეწყნარებას.  
ბავშვის გამხნევება, შექება, მეგო-  
ბრული თანადგომა - ანუ თანამ-  
შრომლობითი მიდგომა, ყველა ასა-  
კობრივ საფეხურზე ამართლებს.  
თანამშრომლობითი პედაგოგიკა ქო-  
რეოგრაფიულ ხელოვნებაში იარსე-  
ბებს მხოლოდ მაშინ, როცა პედა-  
გოგ-ქორეოგრაფის ლექსიკაში წამყ-  
ვანი გახდება გამოთქმები: „მოდით,  
ერთად გავაანალოზოთ, რატომ არ  
გამოგვდის მოძრაობა“, „იქნებ კიდევ  
ერთხელ გვეცადა“, „გუშინ რაზე  
შევთანხმდით“ და სხვა.

ამდენად, ყოველივე ეს მეტ მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცეკვის გაკვეთილი არის არა მხოლოდ მოძრაობის შესრულების უნარ-ჩვევების გამომუშავება და საცეკვაო იღეთთა მარაგის ცოდნის მიღება, არამედ, პირველ რიგში, ხელოვნების სამყაროსადმი ზიარება, ესთეტიკური ფასეულობების ჩამოყალიბება და გემოვნების განვითარება, რაც მომავალში განაპირობებს შვენიერების აღქმის სრულ ასაკისას.

ამიტომ, ავარიდოთ ბავშვები სისას-  
ტიკეს, ცინიზმს და ბოროტებას. ვი-  
მეგობროთ აღსაზრდელებთან, ვიყოთ  
**ავტორიტეტულნი და არა ავტორიტარ-  
ულნი!** „მტკიცე ხელით“ ღირებულე-  
ბების გადაცემა, ვგონებ, არალირე-  
ბულია და წინააღმდეგ შემთხვევაში  
შესაძლოა დამღუპველიც გახდეს!

ერა გელიაშვილი

ქორეოლოგი, ქორეოგრაფი,  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
მაგისტრი, დოქტორანტი

საქართველოს ქორეოგრაფიის მთღვაწეთა შემთქმებითი კავშირი  
წელითადად ულოცავს კავშირის თავმჯდომარეს, პროფესორ ლაუნ  
(რენ) ჭანიძეილს ქართული ქორეოგრაფიაში უბრეულდებულ  
შემთხვევას – პროფესორ ემერულუსის წოდების მინიჭებას.





ბულია და ზედმეტად დეტალიზებული მოძრაობების გაცემისას არ იყადრებს. ამიტომ მის ცეკვაში ძირითადი დატვირთვა გასმებზე მოდის. აյ არ იყითხება ხტომები, ბუქნები და თეატრალიზებული მიმიკით ზედმეტად დატვირთული სვლები.

საგულისხმოა ალინიშნოს, რომ კინოტოურ-ყარაჩოხლური ცეკვები XIX საუკუნეში ხშირად „ბალდალურისა“ და „შალახოს“ სახელითად გვხვდებოდა, იგივე მეორება დღესაც.

ალსანიშნავია ისიც, რომ ეს საცეკვაო პანტომიმა მამაკაცების ცეკვას წარმოადგენს, თუმცა ზოგიერთმა ქორეოგრაფმა მისი ქალთა ვარიანტიც შექმნა.

უნდა ითქვას, რომ თუ ალინიშნული ცეკვები თავის დროზე, წყვილთა დიალოგის სახით სრულდებოდა, მოგვიანებით, როდესაც იგი სცენაზე გადავიდა, ჯერ ერთი, გაერთიანდა კინტოურისა და ყარაჩოხლურის საცეკვაო ელემენტები და მეორეც, იგი ნებისმიერ რაოდენობაზე გათვლილ კოლექტიურ ცეკვად იქცა.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ეს ცეკვა დამკვიდრდა ქორეოგრაფიული კოლექტივების რეპერტურში და მას ხან „კინტოური“, „ბალდალური“ ან კიდევ „ჭელი თბილისის სურათები“ ეწოდება.

ეს ცეკვა სადღეისოდ, უფრო ხშირ-



ად, ასეთი ფორმითაა წარმოდგენილი: ჩაბენელებულ სცენაზე მოცეკვავთა ჯგუფი – კინტოური და ყარაჩოხლები წინასარ იკავებენ ადგილს. სცენა წელნელა ნათდება და მოცეკვავთა ჯგუფს წარმოაჩენს. სცენის ცენტრში ორი გარინდულ-დალონებული ყარაჩოხლი

დგას. როგორც წესი, მათ ჩოხის მარჯვენა კალთა მარცხენა ბეჭზე აქვთ გადაგდებული და ხაზგასმული თეატრალურობით მოქნეული მარჯვენაც კვლავ მარცხენა ბეჭზე უდევთ. ყარაჩოხლელთა დახრილი თავი აშკარად მიუთითებს, რომ კინტოური, რომლებიც გვერდით უდგანან, მათი მკაცრი მხედველობის არეშია მოქცეული. დანარჩენ კინტოურის დამახასიათებელი მომლოდინე პოზაშია, ვინ თავის საქონელს აქებს, ვინ კიდევ სასწორით ხელში აწონის პროცესის იმიტაციას ახდენს.

იქვე მეარღნე და საცეკვაოდ გამზადებული კინტოური... ისმის დოლზე შემოკვრის ხმა (რამდენჯერმე, მიყოლებით) და მოცეკვავთა ეს ერთიანი წყობა შეირჩევა, იგი ცოცხლდება.

საცეკვაოდ გამზადებული კინტოური და ერთ-ერთი წრეზე დავლას იწყებს, მას მეორეც უერთდება და იწყება ტრადიციული წყვილთა „კინტოური“, რომელიც გარკვეულ დრომდე ჯგუფური ტაშის ფონზე სრულდება. ბოლოს კი იწყება საყველთაო ცეკვა-მოლხენა, სადაც სოლოებში ე.წ. კინტოურ სვლებს, ყარაჩოხლური მოძრაობები ცვლის და, პირიქით. მერე ისევ ყველა

ცეკვავს და ფინალის მოახლოვებისთანავე მთლიანი ჯგუფი თავის საწყის პოზიციებს უბრუნდება და ყველა სტატიურ მდგომარეობას იჭერს. ცეკვის ზოგიერთ ვარიანტში დუდუკის ხმაზე სინათლე წელ-წელა ქრება და ჯგუფი ისევ უჩინარდება, როგორც ეს დასაწყისში იყო – ჩაბენელებული სცენა მოცეკვავებს თან გაიყოლებს.

გვაქვს სხვა ვარიანტებიც, სადაც ცეკვას ჩვეულებრივ საფინალო, კულმინაციური რეგისტრისათვის დამახასიათებელი მასობრივი და აჩქარებული მოძრაობებით დასმის საფინალო წერტილი.

აღსანიშნავია, რომ სცენაზე გადატანილმა კინტოურ-ყარაჩოხლურმა ცეკვებმა დაკარგა და სავსებით სწორადაც, ის უამსი, ზედმეტად უტრორებული ელემენტები, რაც მას XIX საუკუნეში, ქალაქური ფოლკლორული ყოფის წიაღში ახასიათებდა. დღეისათვის ეს ცეკვები ქართული საცეკვაო ფოლკლორის ერთ-ერთ მშენებელ წიმუშად იქცა და იგი ქართულმა სცენამ არ უნდა დაიიტინოს.

**რეზო ჭანიშვილი**  
საქართველოს ქორეოგრაფიის  
მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის  
თავმჯდომარე

## თოკერთი გორის გორგოლი თოკერთი გორგოლი ჩემი ინიციატივით



– ასე განაცხადა ბ-ნმა დავით ოქიტაშვილმა ჩვენთან სატელეფონო სუბრისას.

დამეთანებებით, ალბათ, რომ კულტურისა და ხელოვნების სფეროში უამრავი ღირსეული პიროვნება მოღვაწეობს. ხშირად მომხდარა რაღაცის გამო მათი ერთმანეთთან დაპირისპირებით გადავიდა, ჯერ ერთ-ერთი წრეზე დავლას იწყებს, მას მეორეც უერთდება და იწყება ტრადიციული წყვილთა „კინტოური“. არ ვიცი ასეთი „პიარი“ რაში აწყობთ, მაგრამ შემდგომ ყოველივე რეალურ ფაქტებს სცილდება და დავის საგანი ხდება. საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც საბოლოოდ მშვიდობიანად გაარკვევენ ხოლმე სადაც საკითხებს, მაგრამ ის მორალური ზიანი, ნერვების შლა, ხომ ყველა ადამიანს თავის დაღს ასვამს? ერთ-ერთ ასეთ დავის საგანს წარმოადგენდა ბ-ნი ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავის გახსნა. დღეს, როცა „დათბა“ მათ შორის ურთიერთობა, ჩვენ მოკრძალებულად ვთხოვეთ ბ-ნ დავით ოქიტაშვილს გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

**დავით ოქიტაშვილი:** – განვი-მარტავთ, რომ წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, რომელიმე თაქტირი, კინოსტუდია ან სხვა მსგავსი დანიშნულების დაწესებულება თუ ორგანიზაცია მიმართავდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინიტროს რომელიმე პირის სახელობის ვარსკვლავის გახსნის თხოვნით, რომელიც, თავის მხრივ, წერილს უგზავნიდა საქართველოს ხელოვანთა პროფესიულ კავშირს კონკრეტული პირის სახელობის ვარსკვლავის გახსნის მიზანშენობის შესახებ, რის შემდეგაც მზადდებოდა ამ პირის სახელობის ვარსკვლავი (შესაბამისი ფორმით).

როგორც იცით, მე დამადანაშაულეს მიკერძოებულობასა და თვით-ნებურ ქმედებებში, რაც რეალურად ასე არ ყოფილა. არცერთი ვარსკვლავი არ გახსნილა ჩემი ინიცია-

სოდეს მითქვამს, რომ ბ-ნ ფრიდონს ვარსკვლავი არ ეყუთვნის. ის ჩემი მასწავლებელი იყო, დედაჩემისა და მამაჩემის მეგობარია. გული მწყდება, რომ ტელეკომპანია მაესტროს ეთერში მლანძლავდნენ.

– ვარსკვლავის ამოთხრასთან დაკავშირებით მე სულ სხვა რამ ვთქვი: თავდაპირველად ვხსნიდით 7 ქიმიან ვარსკვლავებს, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვაკურთხევით იყო. ახლა ვარსკვლავები 5 ქიმიანია – მე ეს ვიგულისმებრებით არამც და არამც სხვა რამ! (როგორც ეს შემდეგ „გამოჩნდა“).

მე მიმტევებელი ვარ. ვალიარებ, რომ მეც შეცდომაში ვიყავი შეყვანილი. ჩემი შეცდომა კი ის იყო, რომ უნდა მიიღოს ულიკოვისათვის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირში, რომ თავიდანვე აგვეცილებინა ასეთი გაუგებრობა.

**P.S. ბ-ნ დავითთან სატელეფონო სუბრის შემდეგ ბ-ნ ფრიდონსაც**

ვთხოვეთ გაგვსაუბრებოდა. მან გულისტკივილით თქვა: „ეს საკითხი ჩემთვისაც ისეთივე მტკივნეული იყო, მეც შეცდომაში შემოყვანეს... და დღესარმსურსერთმანეთის მტრებად გვხედავდეთ. ლმერთმა დაგვიფაროს რომ ერთმანეთი გვძულდეს. იმედია, უფალი შეგვინდობს! უურნალისტებს კი ვთხოვ, ადამიანთა გრძნობებზე და ემოციებზე ნუ ითამაშებენ! აღარ ღირს ამ მტკივნეული თემის ყოველ ნამს შეხსენება.

**ესაუბრა რუსულა კანონშვილი**

**ბოლობიმა:** ძველ წელს გავათანოთ ყველა გულისტკივილი და წყენა. ახალი წელი ახალი სიხარულის მომტანი იქნება! „გველის წელია“ და ის შევხედოთ ჩვენს წარსულ ტკივილს, როგორც „გველი უურნებს თავის პერანგს გახდილს და გადაგდებულს“ (გრ. რობაქიძე).

# ქართული ფეხვის მექმდენი თეორეტიკოსი

ივლისის დღეებში, დაბა ურეკში ქართული ცეკვის თეორიულ-პრატიკული სემინარი გაიმართა. იგი საქართველოს ქორეოგრაფიის კავშირმა ითავა, ძირითადი მსმენელები იყვნენ ახალგაზრდა ქორეოგრაფები, მოცეკვავეები და ცეკვისმოყვარულნი.

ცეკვის ფესტივალმაც შეგვიქმნა ამა-  
ღლებული განწყობა, რაზეც საქმიანი  
სჭაბაასი ჰქონდათ ქორეოგრაფიის  
მცოდნეებს, თეორეტიკოსებსა და ნა-  
ცად პრატიკოსებს. თემატურ-ში-  
ნაარსობრივი მრავალგვარობით გამ-  
ოირჩიოდა მოხსენებები და ლექციები.  
ოსტატობის კლასებმაც შემოიტანეს

თავისებური სიცოცხლე.  
საყოველთაო ყურადღება მაინც ქორეოგრაფიული პედაგოგიკის საკითხებშია მიიღორო. მისი თეორიული, სასწავლო-პრაქტიკული მნიშვნელობა მკაფიოდ დაგვისურათა პროფესორმა ოლეგ ალავიძემ.

რამდენიმე წელია ეს ნიჭმომადლებ-  
ული, ცინცხალი აზროვნების მეცნიერი  
ქართული ცეკვის უზადო სამსახურშია.  
განა მარტო პროფესიულმა აღტყინე-  
ბამ დაამეგობრა ქორეოგრაფიასთან,  
ეროვნულობის სისხლის დუღილმა გაუ-  
ღვივა ეს გრძნობა.

ქართული ცეკვის დღევანდელ ცხოვრებას, უდავოდ, აკლდა მთავარი საზრუნავი, ესაა ქართული ცეკვის ფენომენის უკეთ გარკვევის, უტყუარი შემოქმედებითი ცნობიერებისა და ქორეოგრაფიული პედაგოგიკის აქტუალური პრინციპების დამკვიდრება. ნათელია, რომ მისეული შეგონებანი, თუნდაც წამოწყებები მრავალნიშნადია.

ოლეგ ალავიძე მრავალმხრივი ცოდნისა და ერუდიციის მეცნიერი და მოღვაწეა, სასიკეთო მიზანდასახულობათა მოთავეა, რაშიც ბევრად უმართავს ხელს ქართული და საზღვარგარეთული კლასიკური მწერლობის, ლიტერატურის, ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების სიღრმისულად ცოდნა. ღირსსაცნობია, რომ პროდუქტიულად მუშაობს პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში. ყოველივე ამას ადამიანური დიდბუნებოვანება, მშობლიური მინის, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული ჰქვია.

მის ხელოვნებათმცოდნებაზე ცოტა  
რამ როდი ითქმება! მეოცე საუკუნის  
70-იანი წლების შუასანებში ნარჩინებით  
დაამთავრა თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნე-  
ობის ფაკულტეტი. მერე კი მოსკოვის  
ასპირანტურაში გაიფართოვა სამეც-  
ნიერო განათლება, საფუძვლიანად  
გაეცნო სხვადასხვა ქვეყნის პედაგოგი-  
კის მონაცემებს.

უნდა ითქვას, რომ ხელოვნებათ-  
მცოდნეობა და პედაგოგიკა მისი ინ-  
ტელექტუალური ნაყოფიერების, და-  
უოკებელი შრომისმოყვარეობის მიღმა  
ვერ იქნებოდა. ცხოვრების სინამდ-  
ვილებმ, გულმა და გონებამ უკარნახა  
ადამიანური შესაძლებლობის ღირ-  
სეულად წარმოჩენა. წარმატებულად  
დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია,  
რის შემდეგაც არ შეუნილებია სამეც-  
ნიერო კვლევა-ძიება. კიდევაც მიაგნო  
სანადელს, მისი სამეცნიერო ნაშრომე-  
ბი მწვანელ აინთო პედაგოგიური მეც-

ო. ალავიძეს თავის დროზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ასახული საქართველოს დამსახურებ-

ულად მიენიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ადრეულ წლებში არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც აქამდეც არ ჰქარგავენ თავიანთ დანიშნულებას.

მისასხლოთანაა დაკავშირებული, რომ  
ახლახან სამზეოზე გამოვიდა სამაგიდო  
წიგნი „კრეატიული პედაგოგიკა“. თა-  
ნაავტორები არიან ნიჭიერი მეცნიერი  
ქალები ნანა გოგიჩაიშვილი და თამარ  
ბალანჩივაძე. წიგნი უხვი აზრებისა და  
პრინციპების გამომხატველია. საჭირო  
ცოდნას შემატებს ხელოვნების სპე-  
ციალისტებსაც.

ალბათ, შორს არ არის ის დღოც, რომ ქართულ ქორეოგრაფიას შემოე-ვა ასე ეს ხელოვნება.

ძატება შისი თეორიულ-ქეთოდიკური შინაარსის წერილთა კრებული, რომელ-საც სინრფელით სავსე გულის კარ-ნახით წერს. გულნათელი მეცნიერი ჩვეული მოკრძალებით მიგვანიშნებს, რომ ქართულ საცეკვაო ხელოვნებაში ზოგიერთი მიჩრდილული მომენტებია, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლით. ნათელი გონიერით, სკრუპულობურად აანალიზებს უსწორო შემოქმედებით მიმართულებებს, აყალიბებს შეხედ-თვადებებს; — აკოდეთი წლების წინააღმდე

ულებერს – ათეული ხლების ნინაბადელ  
სტილსა და ფორმა-შინაარსის რაობა-  
ზე, მეტ სიცხადეს ჰმატებს ქართული  
ცეკვის სადღეისო პრობლემებს. რა  
თქმა უნდა, დადებითად აფასებს სცე-  
ნირების ჭეშმარიტებას.

ზოგიერთი მისი წერილი გარკვეულ  
შემთხვევაში წიგნის ვრცელი შესავლის,  
წინასიტყვაობის როლს რომ ასრულებს,  
ქართული ცეკვის ყველა სპეციალისტს  
იზიდავს. წერილები თემატურობით,  
შინაარსობრივადაც მრავალგვარია.  
გვთავაზობენ ხელმოსაკიდ მოსაზრე-  
ბებს, საყურადღებო ასპექტებს.

ოლეგ ალავიძის თეორიული შეხედ-  
ულებანი ქართულ ცეკვაზე გამოკვეთი-  
ლადაა დახსასიათებული რეზო ჭანიშვი-  
ლის წიგნში „ფიქრები ქართულ ხალხურ  
ქორეოგრაფიაზე“. წიგნის პირველი  
ფურცლები ეთმობა მისივე წერილს,  
რომლის სათაურია „რედაქტორისაგან“. მასში ნათქვამია, რომ ქართული კულ-  
ტურის ისტორია ყველა პარამეტრით  
თვალს უსწორებს მსოფლიო ერებს.

ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად სამაგალითოდ ასახელებს „ქართულ“ ცეკვას. განმარტავს, რომ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება სიღ-რმისეული მეცნიერული კვლევის ორ-ბიტაში უნდა მოექცეს, რითაც თვა-ლი აქტორებათ აქამდე უპოვარ, ვერ კიდევ შესაბამისად შეუფასებელ მასა-ლებს, რომლებიც კვლავაც სიამაყით გვათქმევინებს: „რა განძი გვქონია, რა მხენა, რა მდიდარი“.

სავსებით ლოგიკურია, რომ ავტორის  
ნინაშე ჩნდება ქართული ცეკვის გენეზ-  
ისის სხვაგვარი კონცეფცია, ვიდრე ეს  
ჩამოყალიბდათ ცალკეულ ქართველ  
მკვლევარებს, თუმცა მათი გარკვეული  
მეცნიერული მიღღომანი ახლის მისაგ-  
ნებ საშუალებებს იძლევა. ყველაფერს  
ამას ოლეგ ალავიძე საფუძვლიანი დაკ-  
ვირვებითა და გამჭოლი ლოგიკით ირ-  
წმინდას. აქვე მსჯაოლბს, მონათორულ

კუკუპაზე, მოაქვს სავარაუდო მტკიცება უფრო ადრეული ცეკვის არსებობის შესაძლებლობათა შესახებ. მისივე თვალსაზრისით, მონადირული ან სხვა ცეკვის სცენაზე გამოსატანად ქორეოგრაფი წესისამებრ უნდა ეფუძნებოდეს ყველა იმ ნიუანსს, რომელიც აუცილებელია ცეკვის წარმოჩენისათვის. ეს კი წარსულს, სიძველეს გვერდს ვერ აუვლის. შორეული წარსულიდან მომდინარე მხატვრული აზროვნების განვითარების ცოდნა უმნიშვნელოვანები ფაქტორია... და რომ მკვლევართა ინტერესებს მიღმა არ უნდა იყოს ქართული საცეკვაო ფოლკლორის უანრობრივი რაგვარობისა და ზოგადი კლასიფიკაციის განსაზღვრა. მთავარია, ისიც, რომ სხვადასხვა ფოლკლორული ნიმუშის მიხედვით იძლევა საცეკვაო ფოლკლორის სამ გვარად დაყოფის სრულიად ახალ შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე, ასახელებს ეპიკურ ცეკვებს, ლირიკულ და დრამის სახეობათა (კუკუპებსაც).

ყოველივე იგი ქართული ცეკვის  
შორეული ისტორიის, ჩვენი ხალხის სო-  
ციალურ-კულტურული ურთიერთობის,  
ხალხური შემოქმედების მონაპოვარია.  
საინტერესოა, რომ ქართული ცეკვის  
პრობლემატურ მოვლენათა გარკვე-  
ვისა და დაზუსტებისათვის მსჯელობის  
ზედაპირზე ამოაქვს ხალხურობის არ-  
სებითი ნიშნები. მიღდის დასკვნამდე, რომ  
ეროვნული ქორეოგრაფიის უტყუარი  
განვითარებისათვის აუცილებელია  
ხალხურობისა და კლასიკის ურთიერთ-  
მიმართების პრობლემის სიღრმისეული  
კვლევა. საამისოდ თვლის, რომ ნათელი  
მოეფინოს „ხალხურობის“ დღემდე სა-

ზოგიერთ საკითხებს. უპირატესად, ნაცულისხმევია სცენური ხალხური ცეკვების შემოქმედებითი რაობის თავისებურება. ამ მხრივ, საყურადღებოა, მისეული კონკრეტული მითითებანი: ა) ხალხურობის საზღვრები ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში; ბ) ხალხური შემოქმედება კვლავ „ხალხურად“ რჩება თუ არა მას მერე, როდესაც მას გარკვეული ინტერპრეტაციით სცენაზე წარმოადგენს დამდგმელ-ქორეოგრაფი; გ) რა განსაზღვრავს საცეკვაო ნიმუშის „ხალხურობას“, ნანარმობის ფორმა, მისი შინაარსი, ორივე ერთად და მათ გვერდით გამომსახველობითი საშუალებები, თუ ეს ტერმინი მხოლოდ გარკვეული სოციალური დატვირთვის მატარებელია? დ) რისი შეცვლის უფლება აქვთ ქორეოგრაფს ხალხური შემოქმედების ნიმუშში თა ა.შ.

յոզելցვարո გადაჭარბების გა-  
რეშე ვიტყვით, ბატონმა ოლეგმა ბევ-  
რად უკეთ თქვა ის, რაც აქამდე უნდა  
ჩამოეყალიბებინათ ქორეოგრაფიის  
პრაქტიკოსებსა და თეორეტიკოსებს.  
ერთგვარად წაგვიძლვა ქართული სცე-  
ნური საცეკვაო ხელოვნების იმ „სა-  
ბრძანებელში“, სადაც ჭრის მხოლოდ  
გონივრულობა, სულიერი მონოდება,  
ტრადიციულობისა და ხალხურობისად-  
მი ერთგულება. ამ მიზნით, მისი შე-  
გონებისა არ იყოს, ცეკვის ხელოვანმა  
დროის, ეპოქის რიტმს უნდა აუბას  
მხარი, თვალხილულად განჭვრიტოს  
შემოქმედებითი პროცესების სწორი  
მიმართულებანი. სწორედაც აღნიშნავს  
„ამის გაკეთება არ გაუჭირდება იმას,  
ვინც კარგად იცნობს ქორეოგრაფიულ  
აზროვნების ლოგიკას, მისი განვითარე-  
ბის ისტორიულ და წმინდა ადამიანურ  
კანონზომითორებანს!“. თავისუალ ამა-

ვარი გააზრება იმის მანიშნებელიცაა, რომ თანამედროვე ხალხურ ქორეოგრაფიას განათლებული, მოაზროვნე სპეციალისტები სჭირდება, ეს კარგად იცის ცეკვის მოჭირნახულე მეცნიერმა და ყველანაირად ცდილობს ქორეოგრაფიის მესვეურებს გააცნოს თუ კი რაიმე ახალი მეთოდური, თეორიული შინაარსის პუბლიკაცია ან წიგნი დაიწერა ჩვენში. მანვე დამაჯერებლად, შთამაგონებელი მეცნიერული თვალთახედვით გააშუქა 2002 წელს გამოქვეყნებული წიგნის „წერილები ქორეოგრაფიაზე“ შემეცნებითი მნიშვნელობა.

წიგნში შეტანილი წერილების მეშვეობით ერთგვარად ააქტიურებს ცეკვის სპეციალისტების ინტერესებს ქართული ცეკვების სადღეისო ბეჭ-ილბალზე, ამასვილებს ყურადღებას თავისებური მზადყოფნის შესახებ, რადგან ცხოვრების, საზოგადოებრივი ყოფის რადიკალური ცვლილებაზი, „უცხო კონტექსტები“ სხვაგვარ, უფრო გონივრულ გააზრებას ითხოვს, რაზედაც ასეთ წინადადებას გვთავაზობს: „...დღეს ქართული ქორეოგრაფიული კულტურის განვითარებაში დადგა ეტაპი, როდესაც მან თვითდადგინების ახალ ხარისხს უნდა იფიქროს. კერძოდ, მას უთუოდ მოუწევს თვითდადგინება გარედან შემოსულ კულტურულ ღირებულებებთან კონტექსტში“. უდავოდ, ფრთაშესხმული ლოგიკაა, რასაც მხარი უნდა აეპას, ასევე მის გამონათქვამში ყველანაირად ანონილია ქართული ცეკვის შემოქმედებითი ცხოვრების, ვიტყოდით, დღევარძელი სიცოცხლის შეუქცევადი პრიმატი.

თვითდაგენების ერთ-ერთ საშუალებად გვესახება ისიც, რომ აუცილებლად დაკეყრდნოთ სიძველიდან მოლწეულ „საცეკვაობებს“. ყველა ისინი ერთვნულობის სულის მატარებელია, სწორედ, ამ კეთილსაიმედო არქაული მონაბოვრების ინტერპრეტირება, ქართულ ქურაში გატარება, ახალი ხედვით დამუშავება იქნება დღევანდველობის შესატყვისი, საიმედო წყაროსწყალი. მაძიებელი მეცნიერ-მკვლევარის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებანიც საფუძვლიანია. წერს, რომ დამდგმელ-ქორეოგრაფითავს მოვალედ უნდა თვლიდეს, რომ შექმნას განსხვავებული ქორეოგრაფიული ნაწარმოები. ამ მიზნით უნდა გამოიყენოს „ძველებური შინაარსის ტიპური მახასიათებლები, მისი ზოგადი ქარგა და იგი წარმოადგინოს ახალი, ეპოქისათვის უფრო მეტად მისალები, ნიშანდობლივი ორმით“.

ბუნებრივია, შემოქმედებითი მუშაონ-  
ბის ასეთი პროცესი ადვილი არ არის,  
არც მისი ხელოვნურად გაიოლება ვარ-  
გა. სიფრთხილე აქაც გვმართებს, რომ  
შეცდომები არ დავუშვათ. შეცდომები  
კი ისედაც ბევრია. ჩვენში სრულიად  
შეუცნობლად ხდება არაქართული  
საცეკვაო ნაწილების შემოდინება.  
ქართულ ცეკვათა „საშენი მასალების“  
ურთის წილია:

აქ მონიშნული და კიდევ სხვა შეუსაბამო პროცესები, უდავოდ, არ ქმნიან საიმედო ამინდს ეროვნული ქორეოგრაფიის „ახალი ხარისხით“ განვითარებაში, რაც რელიეფურად აისახა თავის წერილში „ქართული საცეკვაო ხელოვნებს განვითარებს აქტუალური საკითხები“. ეს მრავლისმომცველი ნააზრევი 2012 წლის თებერვალში დაიბეჭდა, „საქართველოს ქორეოგრა-თაუში“.



## ოლის იუგილარები

# ԵԱՀՈՎԵԿԱՆ ԴԸԼԻ ՎԱՅՐՈՒԹՅՈՒՆ...

პ-6 ოლეგ ალავიძის ნელს 60 ნელი შეუსრულდა, ვულოცავთ მას ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს, თავისი იდეების განხორციელებას, იმ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას, რაც ქართულ ქორეოგრაფიაშია. პ-6ი ოლეგ ალავიძე გახსლავთ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ლირსების ორდენის კავალერი, ქართული კულტურის ამგდარი და ქორეოგრაფიის ამაგდარი, დოქტორი, პროფესორი.

— ბ-ნო ოლეგ, რას ფიქრობთ როგორც  
მეცნიერი, როგორია დღეს მეცნიერული  
კვლევის დონე?

— მეოცე საუკუნის მანძილზე  
ქართულ ქორეოგრაფიასთან დაკავ-  
შირებით მრავალი წიგნი გამოიცა,  
რომელიც ასახავს ქართული ცეკვის  
განვითარების ძირითად ტენდენციებს,  
მაგრამ, სამწუხაროდ, მეცნიერული კვ-  
ლევის დონე ვერ ასახავს და არ ასახავს  
იმ პრაქტიკულ წარმატებებს, რომელ-  
საც ქართულმა გამოჩენილმა ანსამ-  
ბლებმა მიაღწიეს მსოფლიო მასშტაბით.  
ეს ფაქტი მიუთითებს, რომ წინ მიდის  
ქართული ქორეოგრაფიული პრაქტიკა  
და სერიოზულად ჩამორჩება ქართული  
ქორეოლოგიის სასიმალო ნიშნულები.

ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა ამ ჩამორჩენის აღმოსაფეხურელად სერიოზული ღონისძიებები დაგეგმა, ზოგიერთი მათგანი განხორციელებულია და უფრო მეტი გასაკეთებელია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ასეთი წარმატებული ქორეოგრაფიული პრაქტიკა გვაქვს, მისი თეორიული სამეცნიერო სკოლა ჯერ ჩამოყალიბებული არაა. ამ საქმის სათავეებთან, თავის დროზე, იდგა კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც, წინა წლების ექსპერტიმენტების, რეფორმების ფარგლებში, შეუერთეს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ უნივერსიტეტს. დღეს ქორეოლოგების მომზადება ამ უნივერსიტეტის ბაზაზე ხორციელდება. იმდინარებისას რომ ბატონი უჩა დვალიშვილის ხელმძღვანელობით ეს საქმე წარმატებით გაგრძელდება.

ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის უფლებამოსილების გაგრძელების დღიდან ჩვენ ეს საკითხები (თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის საკითხი) უყურადღებოდ არ დაგვრჩენია. ჩატარდა ბევრი ლონისძიება, მათ შორის, ქორეოგრაფთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ტრენინგები.

- დღეს რა დგას აქტუალურ საკითხ-  
ად?

— ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა  
თეორიული გააზრება იმისა, ავთენ-  
ტური ქართული ქორეოგრაფია როგორ  
მივიტანოთ ჯერ ბავშვთან, შემსრულე-  
ბელთან და შემდეგ მაყურებელთან. პრინციპული  
მნიშვნელობა აქვს ამას:

არ უხდა გვეგობოს, რომ ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარება და წინსვლა თითქოს საპავშვი ქორეოგრაფიაზეა დამოკიდებული. საბავშვო ქორეოგრაფია ჩვენ იმისთვის გვესაჭიროება, რომ მისი გამოყენებით უზრუნველყოთ მოზარდი თაობის ფიზიკური და სულიერი განვითარება ცეკვის, როგორც ხელოვნების დარგის საშუალებით. ეს გზა უსათუოდ მიგვიყვანს ახალი თაობის აღზრდასთან და კულტურული ტრადიციების გადარჩენასთან.

მიმდინარე ეტაპზე უაღრესად აქტუალურ საკითხად იქცა ცეკვის ზოგადი კულტუროლოგიის პრობლემატიკა. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ისასაკითხები, რომელიც დაკავშირებულია ცეკვის ხალხური ვარიანტების შენარჩუნების და შემდგომ მისი განვითარების პრობლემატიკასთან. ცალსახად ცხადია, რომ ხელოვნება უნდა განვითარდეს, მათ შორის ცეკვაც, მაგრამ ყველაზე რთულია იმ გზის ამორჩევა, საითაც უნდა წავიდეს სასცენო ქორეოგრაფიული ხელოვნება და რას შეიძლება დაერქვას განვითარება. სამწუხაროდ, დღევანდელ სოფელში, სადაც ცეკვისა ავთენტური მოდელები ჩამოყალიბდა, მისი განვითარება აღარ ხდება, რადგან სოფელი გახდა ურბანიზებული, რაოდენობრივად შემცირებული და ყველაზე ცუდი ისაა, რომ ის, რაც თავის დროზე სოფელმა შექმნა და მერე ქალაქმა მთლიანად აითვისა, დღეს ქალაქი უკანსათვაზობს ამ სიმდიდრეს და სამწუხაროდ, დღევანდელ სოფელს მისი ათვისება უკვე აღარ შეუძლია! ეს ადგილი

დაიჭირა მასკულტურამ. ეს მოვლენ-  
ებიც კვლევას საჭიროებს და ესეც ქო-  
რეოგრაფიული კავშირის საფირაქლია.  
ეს – სამომავლოდ. ბედნიერებაა, რომ  
დღეს, საქართველოს მასტებით, სხვა  
კულტურული კალენდარია, შეიცვალა  
მიღომები, კულტურის სფეროს ახალი  
ადამიანები ხელმძღვანელობენ, რომ-  
ლებიც XXI საუკუნის გლობალიზებულ  
მსოფლიო სივრცეში ექცენ ქართუ-  
ლი კულტურის ჩანარის კონტექსტს  
და იმედს გამოვთქვამ, რომ ყველა ის  
პრობლემა, რაზედაც ვისაუბრეთ, გა-  
დაიჭირება ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის წევრების და  
მისი თანამოაზრების, ასევე სახელმ-  
წიფო სტრუქტურების თანადგომით.  
ახლახანს კავშირის წევრებს შეხვედრა  
გვექნდა მინისტრთან ბ-ნ გურამ ოდიშ-  
არიასთან, რომელიც გაგებით მოეკიდა  
კულტურული იმპერიას, რომელიც დაკავ

შირებულია ქართული ქორეოგრაფი-  
ული ხელოვნების განვითარების  
დღევანდელ მდგომარეობასთან და მის  
პერსეუტივებთან. ჩამოყალიბდა ხე-

დფა, კონცეფცია, სტრატეგია, რომელიც უახლოეს მომავალში წარედგინება სამინისტროს და იმედი გვაქვს, რომ ის, რაც გაკეთდა, არის მოსამზადებელი ეტაპი და ხვალინდელი დღე უფრო ნაყოფიერი იქნება.

**- ე.ი. დიდი იმედებით ხვდებით ახალ 2013 წელს?**

**- დიას და მინდა მივულოცო სრულიად საქართველოს და მის ყველა მცხოვრებს ახალი წელი და შობის ბრწყინვალე დღესასწაული. განსაკუთრებით მინდა გამოყენ ყველა ის პირვნება, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობისა ღიზრდის სფეროში მოღვაწეობს. ვუ-სურვე ბედნიერება და დიდი წარმატებები პროფესიულ საქმიანობაში. ლხინიდა ბედნიერების დღეები არ მოშლოდეს ჩემის სამშობლოს!**

# Հայուս մղբայուղի անրաժ զամացվեմք

- ეს სიტყვები ბ-ნმა იური ტორაძემ რამდენიმე წლის წინ წარმოსთქვა ერთ-ერთ ინტერვიუში, სწორედ მაშინ, როცა დაიწყო, ასე ვთქვათ, ქართული ქორეოგრაფიის „ნგრევა“, მაგრამ გულისყურით ამ საქმეს არავინ მოეკიდა, დღეს ქართული ცეკვა უფრო შოუბიზნესზეა გათვლილი, ვიდრე მის ტრადიციული ფეხომენის ჩვენებაზე. ნეგატიური შედეგები უკვე სახეზეა, თუმცა ჯერ კიდევ არ არის გვიან, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას...

ნელს ბატონი იურის 60 წელი შეუსრულდა და, როგორც ლვანლმოსილ ქორეოგრაფ-პედაგოგს, ვთხოვთ გაგვსაუბრებოდა, თავისი შეხედულება-ნი და აზრები გამოიტქვა. ცნობისათვის, ბატონი იური ტორაძე გახლავთ: საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავ-მჯდომარის მოადგილე; საქართველოს ვეტერან ქორეოგრაფთა საერთა-შორისო საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე, რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ქართული კულტურის ამაგდარი და ქორეოგრაფიის ამაგდარი.

— ბატონი იური, გილოცავთ 60 წლის დად ადამიანის დაცინვაა! იუბილეს და გვაქვს კითხვა: როგორ — სად არის გამოსვალ?

- სად არის გამოსვალი?

შეაფასებდით განვლილ წლებს დღევან-  
დელი გადმოსახედიდან...  
- როგორ გითხრათ, ყველა ასაკს  
თავისი ხიბლი აქვს: ახალგაზრდობაში  
სულ სხვა აზრები და განცდებია, 40  
წლის ასაკში კიდევ უფრო სხვა და 60  
წლი, ალბათ, უკვე ის ასაკია, როცა  
ადამიანს არც გამოცდილება აკლია  
და არც სიბრძნე. 60 წლიდან ბრძნუ-  
ლო აზრის ყველაზე მიმდევ დღიულა -  
- სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინ-  
ოს პედაგოგის გამოცდილება, სტაჟი,  
ბაგშეთან უნდა იმუშაოს ქორეოგრაფ-  
პედაგოგმა. ვისაც ცენტი აქვს, იმან უნდა  
ასწავლოს, ხოლო ვინც მოცეკვავეა,  
შეუძლია იცეკვოს და შესაბამისი ანაზ-  
ღაურება მიიღოს. დღეს არაფერს აღარ  
ითვალისწინებენ: პედაგოგებს დამსახ-  
ურებებიც მოუხსნეს - საბჭოური გად-  
მონაშოთათ!

- რას ფიქრობთ, როგორც პედაგოგი?

— ასაღი თაობის აღზრდა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ყველა იმ ამოცანათა შორის, რომელიც ოდესამე დასმულა კაცობრიობის წინაშე. ჩვენს რება უნდა ჰქონდეს. დღეს ყველაფერი მშობელზეა დამოკიდებული: ბავშვების გადასახადიც, ფორმის შეკერვა-შექწნაც, გასტროლებიც. რა ქნას მშობელმაც?

- ანუ თქვენ თვლით, რომ ეს სახელწი-  
ლი უკრიანებელია?

კის, სისხლისლევრისა და დამაზინჯებული აზროვნების საფუძველთა საფუძველი არასწორი აღზრდაა, რომ ასწავლო ქართული ცეკვა სულით ხორცამდე შეძრული უნდა იყო ამ უდიდესი, ულამაზესი ხელოვნებით, რომელსაც ქართული საცეკვაო ხელოვნება ჰქვია. საქართველოში, სადაც ყველა ცეკვას და ყველა მღერის, ყველა ლექსის წერს, ძნელია იყო პედაგოგი, მოღვაწე, მწვრთნელი, მითუმეტეს, ასწავლო დარგი, რომელიც თმის ძირითადან ფეხის ფრხჩილამდე ქართულია, ეროვნულია. ცოტა მეტი უნდა იყო, ვიდრე პედაგოგი, რამეთუ ქართულ ცეკვაში დევს ერთს ისტორია, მისი წარსული, ანტყუ და მომავალი.

- ბატონი იური, როგორც მახსოვეს  
თქვენი ერთ-ერთი სურვილი ისიც იყო  
რომ ქართული ცეკვის სნავლება სახურ  
ლო პროგრამაში შესულიყო, შეიტანეს კო  
ონკა მარწმუნოთ, რაზემ?

**დეცი, ბაგრატ პოგვარძოსლის. თაოთ:**  
 – მოგახსენებთ. მე მეგონა, რომ პედა-  
 გოგს ექნებოდა მთლიანი დატვირთვა, 20  
 საათი მაინც. ჩვენ მოგვცეს 15-16 საათი,  
 თანაც ხუთ სხვადასხვა სკოლაში, ამას  
 ადამიანი ფიზიკურადაც ვერ გასწვდე-  
 ბოდა: ავტობუსიდან ავტბუსამდე ჩაჯ-  
 ირ და დანართ და დანართ და დანართ

დღისას ვეო ასხოებდა უძაგლოი. ასეთია  
მიღომამ „გავაოცა“, ყველა მოლოდინს  
უასაჭარბა. ამასთან ანაზოურებაა  
კაოგად იქნება, ანალი 2015 ხელი დგება.  
თქვენ რას ისურვებდით ამ ახალ წელს?  
— ვისურვებ საქართველოს მთლი-

გადააჭარბა. ახასთან, ახაზურებაც დაბალი იყო, სამგზავრო ხარჯებისთვისაც კი არ ეყოფიდა პედაგოგს. რისთვის უნდა ემუშავა? პედაგოგებს 500-700 ლარი მაინც უნდა პქონდეთ ხელფასი. მათ დიდი დატვირთვა აქვთ (მითუმეტეს 100 ლარი უნდა იყოს). მაგრავ არ არის არა ეფექტური მოწყვეტილე.

ქორეოგრაფს, რომელიც ფიზიკურადაც  
მუშაობს და გონიერივადაც). ალბათ  
უხერხულია, მეტოვეს 500-600 ლარი  
ჰქონდეს ანაზღაურება და პედაგოგის  
კიდევ 200-300 ლარი. ეს დაცინვაა:  
ასწავლის დროის განზის ზოგა-  
რეოგრაფის გამარჯვებები და ნარ-  
მატება!  
გილოცავთ ყველას ახალ 2013 წელს!

# ଏହାପଣେ କୁଳୀ ମନ୍ଦିରରେ

 33.13 ქართული ცეკვის თეორიულ  
თუ მეთოდიკურ საკითხებს.

ცეკვის სიყვარულით გულანთებული  
ჭაბუკი წყალტუბოს პირველი სკოლის  
საცეკვაო ანსამბლს გვერდს ვერ აუ-  
ლილდა. ამ სკოლაში სწავლობდა იგი,  
აქვე ცეკვავდნენ მისი თანაქალაქელი  
გოგონები და ვაჟები. სკოლის საცეკვაო  
ანსამბლს კი ხელმძღვანელობდა, თავის  
დროზე საუცხოო მოცეკვაუე, ელგუჯა  
გუმბერიძე. სწორედ მისგან შეისისხ-  
ლხორცა წყვილური „ყაზბეგურის“, ოს-  
ური „სიმდის“, „კინტო-ყარაჩოხელის“  
საკუკურაო ხასიათები.

ნიჭიერებამ თავისი „ქმნა“. ქორეოგრაფმა ელგუჯა გუმბერიძემ ჭაბუკი იური ტორაძე წყალტუბოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მიინვაია. წყალტუბოს ანსამბლი „წყალტუბა“ საჩვენებელ კონცერტებს ატარებდა ქალაქებში, სოფლად, საქართველოს სხვადასხვა შხარებში. „წყალტუბოელები“ საინტერესო შთაბეჭდილებას ტოვებდნენ „საბჭოთასა“ და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ დამსვენებლებში. რაიონულ, ზონალურ და რესპუბლიკურ დათვალიერებებზე დიპლომებითა და სიგელებით ჯილდოვდებოდნენ.

ამგვარი კონცერტები საჭირო  
გამოცდილებას ჰმიატებდა ახალგაზრდა  
მოცეკვავეს. ალლოც აუღო თვითმო-  
ქმედი კოლექტივების სადადგმო-ქო-  
რეოგრაფიულ მუშაობასაც. მთავარი  
მაინც სათანადო ქორეოგრაფიული  
ცოდნა იყო, რისთვისაც ბეჭითად  
ისწავლა თბილისის სერგო ზაქარი-  
აძის სახელობის კულტურულ-საგან-  
მანათლებლო სასწავლებელში. აქ მას  
აკვალიანებდნენ გამოცდილი თეორე-  
ტიკოსები და პრაქტიკოსები: ავთანდილ  
თათარაძე, ჯანო ბაგრატიონი, კონ-  
სტანტინე მანჯგალაძე, ანტონ ჩიხლაძე,  
მიხეილ შუბაშუკელი, გაიოზ გოგოლიძე.  
მასთან ერთად ქორეოგრაფიულ ცოდ-  
ნას, საცეკვაო ხელოვნების საფუძვ-  
ლებს ეუფლებოდნენ ნუგზარ ჯიქური,  
უჩა დვალიშვილი, თამარ ჯაჯანიძე და  
სხვა თანაკურსელები. ყველა ერთად  
იზიარებდა სასწავლო-შემოქმედებითი  
ცხოვრების ჭირსა და ლხის.

ცრნობისათვის, ტექნიკუმში სწავლის  
პარალელურად ცეკვავდა თბილისის  
პოლიტექნიკური ინსტიტუტის ანსამ-  
ბლში, რომელსაც რეზო ჭოხონელიძე  
ხელმძღვანელობდა. მზარდი მოცეკვავე  
ძალასა და ენერგიას არ იშურებდა,  
რომ ინსტიტუტის სხვა მოცეკვავებს  
არ ჩამორჩენოდა. თანდათან გრძნობ-  
და, რომ მის შემსრულებლობას ფერი  
და მარილი, იგივე სიცხადე ემატე-  
ბოდა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ  
არ გაუჭირდა გულიანად ეცეკვა ამ-  
იერკავკასიის წითელდროშოვან ანსამ-  
ბლში, რაც მის სამშედრო დავალება-  
და(კ მიიჩნეოდა.

სასანავლებლის მეორე კურსიდან გაი-  
წყიეს ჯარში, მაგრამ აქედან მიზნობრივ  
შემოქმედებით სამსახურში ჩაატეს. აქ  
სხენებული ანსამბლის მთავარი ქო-  
რეოგრაფის იგორ გითოლენდიას სა-  
დადაგმო სტილს ადვილად აუბა მხარი.  
ქართული და სხვა ხალხთა ცეკვე-  
ბის სცენირებისათვის თავის მადლიან  
გულს მიენდო. სხვებთან ერთად დამა-  
ჯერებლად აითვისა „ხორუმი“, „განდა-  
განა“, „რუსული“, „უკრაინული“, სომხური  
და აზერბაიჯანული ხალხური ქმნილე-  
ბანი, ძალიან უხდებოდა ოსური „სიმ-  
დის“ წყვილური საცეკვაოს შესრულე-



თამაშად ითქმება, რომ სასურველ  
ქორეოგრაფიული მარაგით დაუბრუნ  
და სასწავლებელს, კვლავაც ჩაება სას  
წაოლ-შემოძმილებით პროცესში, მიზი

ნად დაისახა საინტერესო ნამუშევარი წარედგინა სახელმწიფო გამოცდაზე ეს დროც დაუდგა, თავის მშობლიურ წყალტუბოში ხელოვან ქალთან, მერკურიალის აჩვენა ქალთან ერთად, ჩამოაყალიბდა ანსამბლი „მეშახტე“. საგამოცდო კომისიას აჩვენა ქალთა ლირიკული სახასიათო და საზეიმო ქორეოგრაფიული სახეობანი, ქალ-ვაჟის წყვილური ცეკვებიც მოამზადა. მშვენი გარდასახვით შეასრულა „ქართული“, ოსური „სიმძის“ დუეტი, აჭარული „ქალ-ვაჟი ჟიანი“. დებიუტანტი ქორეოგრაფი სადიპლომო ნაშრომებს მაღლალი შეფასება მიეცა, რაც ცნობილი გახდა წყალტუბოს კულტურის სამსახურის ხელმძღვანელობისათვის. იური ტორაძეს დაევალა ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ანსამბლის ხელმძღვანელობა. აქ მოსვლის პირველი დღეებიდანვე ნაყოფიერად იღვნოდა ბაზრებისათვის. 1974-1978 წლიაბში

საკუთხევისისგან: 1974-1978 სლეიი  
მრავალგვარი დადგმებით გაახარა მო-  
ცეკვავე ბავშვები.  
საცეკვაო კომპოზიციებში საბავშვო  
ეპიზოდები მოაქცია, იგივე ბავშვურ  
უშუალობას მოუძებნა გზა-სავალი-  
მათი კონცერტები, ვიტყოდით, სცე-  
ნური ასპარეზობანი, ცეკვის მოყვარ-  
ულთა საერთო მოწონებას იმსახურებ-  
და.

ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა  
ქორეოგრაფი მარტო საკონცერტო  
გამოსვლებით ვერ დაქმაყოფილდებო  
თა ყოვლთვის იმის არაძირ ყოფილობის

შეკვედულის ისით ცდილი იქნა, რომ  
ახალი საცეკვაო მონაპოვრებით გაეხა  
ლისებინა ნორჩები. ამ მიზნით არცთუ  
იმვიათად მონაწილეობდა სხვადასხვე  
სემინარულ მუშაობაში. მას არ ეკავე  
უძრალო მსმენელის ან მოყურადის  
როლი, მთელი გულითადობით ეუფლე  
ბოდა საცეკვაო ორიგინალებს. თავისი  
„დღიურებში“ შეპქონდა თეორიულ-მე  
თოდიკური შინაარსის საკითხები. გან  
საკუთრებულად იხსენებს 1976 წლის  
ივლისის სემინარს, რომელიც ბათუმის  
პიონერთა და მოსწავლეთა პარკში  
გაიმართა. მაშინდელ სემინარს უძ  
ღვებოდნენ ქართული ქორეოგრაფიის  
ღრმად მცოდნე მკვლევარი ავთანდილ

თათარაძე, პრაქტიკონი ხელოვანები  
მიხეილ შუბაშიკელი, გიორგი (ჟორა),  
ჯიბლაძე, ასევე ამ წერილის ავტორებიც.  
სემინარის მონაწილეებმა იხილეს  
თამაზ ბეჭანიძისა და ზურაბ ბალდალ-  
იშვილის აჭარული „საცეკვაოებიც“  
როგორც წესი, სემინარული დღეების  
ირგვლივ იმართებოდა სჯა-ბაასი  
სადაც ახალგაზრდა ქორეოგრაფის  
საქმიანი გამოსვლებიც ანგარიშგა-  
საწევად მიიჩნეოდა. იგი მსჯელობდა  
შემოქმედებით, საოლიმპიადო და ორ-  
განიზაციულ თემებზე. ანალოგიური  
მონადინებით გამოდიოდა ქუთაისი  
სა და ნეალტუბოს ქორეოგრაფიულ  
თათბირებზეც. შემოჰქონდა აზრიანი  
ასათვალისწინებო წინადაღებანი.

შემთხვევითობას არ წარმოადგენდა

რომ ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგ ქორეოგრაფად დაინიშნა. მანამდე მე სამე კურსელებს ასწავლიდა საქვეყნოდან აღიარებული ქორეოგრაფი ბუხუტი დარაბულების... გასაკვირი არაა, რომ სათანადო სახელიც მოიპოვა ქუთათურებში. გაუადვილდა, რომ შეექმნა დამოუკიდებელი ქორეოგრაფიული სტანდია თავის მშობლიურ ნიკოლოზის.

ბოში. უამრავი გოგო-ბიჭი გაერთიანდა ახლადმექმნილ საცეკვაო კერაში ენერგიულადაც გააჩაღა სასწავლო საწვრთხო მუშაობა. კარგად დაწყებულ საქმეს საუცხოოდ მოება თავით სტუდიაში მიმზიდველი საცეკვაო კომპოზიციები გაჩნდა. გამომდინარე აქედან, ვის შეეძლო გაძლოლოდა მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებას თუ არა ყოველთვის მოულეოდ იურიტორაძეს. აქაც გამოიჩინა თავისი ორგანიზატორული ძალისხმევა, ახალმა „საზოგადოებაზ“ უტყუარი საქმით დაადასტურა თავისი ცხოველმყოფელობა.

სანაქებო სიტყვები ითქმის იმაზეც რომ დრო მოიხელთა და თავის უფროს კოლეგასთან, სულიკო რატინთან ერთად, დაანინაურა ხონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ანსამბლიც, მსგავსად იმუშავა გოჩა ჯიხაიძის ზოგად საგანმანათლებლო სკოლაში, სადაც მოსაწონი საბავშვო ანსამბლი ჩამოაყალიბდა. პატარა გოგო-ბიჭები თვალმარდი ცეკვებით ახალისებდნენ თანასოფლელებს.

იური ტორაძე 1995 წელს თავისი  
ოჯახით დედაქალაქში გადავიდა. აյ-  
საქართველოს ქორეოგრაფიის კავ-  
შირის საორგანიზაციო განყოფილებას  
ჩაუყენეს სათავეში. იმ დროს „კავ-  
შირის“ სახეს ნარმოადგენდნენ თენ-  
გიზ სუხიშვილი, რეზო ჭანიშვილი, ბე-  
სარიონ სვანიძე, თენგიზ მაისურაძე  
ავთანდილ თათარაძე, ჩაქუ საჯაია და  
სხვა.

საქმის ცოდნით, გულის კარაბით  
ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას  
თავისი სამაგალითო ნამოწყებებით  
ყველას აგებნებდა, რომ არ არსებობს სირთულე, რომლის მოგვარება  
არ შეიძლებოდეს, მაგრამ უმთავრესია  
გვიყვარდეს ჩვენი საქმე, პროფესია და  
გულისგულამდე ჩავწვდეთ დაბრკოლებ  
ბებს, პარალელურად სწავლობდა და  
დაამთავრა თბილისის სახელმწიფო  
კულტურის ინსტიტუტის ხელოვნებათ-  
მცოდნეობის ფაკულტეტი.

მისივე პასუხისმგებლობით, საქმის-  
ადმი კეთილსინდისიერი დამოკიდე  
ბულებით სხვებსაც აღუძრავდა სინ-  
დისიერად გარჯის გაწყვბილებას

თადარიგიანად ამზადებდა „კავშირის“ ყრილობას, გამგეობის სხდომებსა და სათათბირო შეკრებებს. გაზეთში „როკვა“ არცთუ იშვიათად აქვეყნებდა საყურადღებო მასალებს. ცდილობდა, არ გამერალიყო ცალკეულ მოლვანეთა ნაშრომ-ნაჯაფარი. საჭირო ცნობებს აგროვებდა გამორჩეული ქორეოგრაფიული ანსამბლების მისაბაძ შემოქმედებაზე.

თავის დედაქალაქურ საბაკშვილ  
საცეკვაო კოლექტივებში ნერგავდა  
სამართლიანობის, ღირსეული შემოქ-  
მედების სულისკვითებას.

მართლაც, ასეთი პრინციპისთ  
მუშაობს ახლაც თბილისის ასორმანც-  
დამეორე საჯარო სკოლაში, რომლის  
საპავშვო ქრისტიანული ანსამბლზე

ბევრი სასიკეთო გამოითქვა. არანაკლებ  
საინტერესო სცენიერებით ხასიათდე-  
ბიან თბილისის რკინიგზის სასახლეში  
არსებული მისი საბავშვო-ახალგაზრ-  
დული კოლექტივი „სხივი“, რომლის  
საკონცერტო გამოსვლები ყოველთვის  
ნაყოფიერია.

დროის მოთხოვნებმა შეაგულიანა,  
დაეკრძებინა ვეტერან ქორეოგრაფთა  
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონ-  
დი, ყველა თაობის ადამიანები ჰყავს  
გვერდით, უფროორ ახალგაზრდობაა  
დიდი ნაწილი. ერთად, ერთნაირი სიმბ-  
ნეებით იღვნიან ქართული საცეკვაო  
ხელოვნების საკეთილდღეოდ. საქველ-  
მოქმედო ფონდის მუშაობის, მიზან-  
დასახულობის შესახებ 2010 წლის 13  
ნოემბრის ქორეოგრაფიის კავშირის  
მებუთე ყრილობაზეც ითქვა. ყრილო-  
ბამ ერთხმად აირჩია იგი „კავშირის“  
თავმჯდომარის მოადგილედ.

უდაროდ, შემოქმედებითად უდგენ  
ბა თავის საქმეს. ორი წელია, მისივე  
ინიციატივით, დაბა ურეკში იმართება  
ქართული ცეკვის თეორიულ-პრაქ-  
ტიკული სემინარი და ოსტატობის  
კლასები. ატარებს ფესტივალებს, ფეს-  
ტივალ-კონკურსებს, რომლის შედე-  
გებს კვალიფიციურად აანალიზებს.  
გაზეთის „საქართველოს ქორეოგრა-  
ფია“ მეშვეობით გაძელებულად ეხმაინება  
ქართული ქორეოგრაფიის პრობლემურ  
საკითხებს. მიაჩნია, რომ ეროვნული  
ქორეოგრაფიის ჩაუმქრალი სიცოცხ-  
ლის წყაროა ტრადიციული ხალხური  
შემოქმედებისათვის თავაუღებელი  
ზრუნვა. ეს კი ავალებს სილრმისეუ-  
ლად იცოდეს რეგიონული ორგანიზა-  
ციების განწყობა, მათი სურვილები და  
მისწრაფებანი.

მისთვის შეუსაბამოა მოჩვენებითობა  
და თვითმიზნურობა, გულითადია და  
კომპრომისული, სიკეთით ეპასუხება  
ყოველი გარ უსიკოვნობას.

დიახ, ასეთია, ჩვენი კოლეგა და მე-  
გობარი, მჩქეფარე გულის მოღვაწე,  
ლირსების ორდენის კავალერი იური  
ჭორაძე

23 სექტემბერი მისი სამოცი წლის  
სხივნათელი დღეა. სულითა და გულით  
ვულოცავთ მრავლის შთამაგონებელ  
დაბადების დღეს. გვახარებს, რომ  
მუდამ მოქმედებაშია, იღვნის, იწვის,  
კვლავაც შემართულია ეროვნული  
საცეკვაო ხელოვნების საღიადო სამ-  
სახლონალო;

# ქორან ზეპაპი 30 დღის

## საქართველო ნაკვესები

- ♦ ყველაფეხს მექავის ფეხს ნუ ღააბჩარებ, თუ შენ ცხოვხება ფეხებზე გაიდია.
- ♦ ახალი წელის მოახლოების იმ აღამიანებსაც უნდა ეშინოდეთ, ვისაც ლოქებს ეძახიან.
- ♦ თოვლის პაპას კეთილდაღ შეხვედი, მაგან ნუ საკუთახ პაპას ღაფოვებ უყენადობოდ.
- ♦ ინდაური გაძვირებს, მაგან აღამიანი ნუ გაიაფება.
- ♦ ესი ჩომ სურ ახალგაზება იყოს, ჩვენ ღავაბებით ეხომანეთი ტკბილად.
- ♦ თუმცა მოღის წელინალი გვერის, თუ ეხთად ვახო, ყაბენა აჩერის გვერის!
- ♦ ბაზხის ფასებს ყი გაუძლებს ყაცი, ოლონი ჩვენ ას ღაგაბოდეს ფასი!
- ♦ მაშინ გვაცებობს ყანთეცი ღა ხილი, ჩვენს მასპინძელს თუ აქვს ბერი თბილი.
- ♦ ჩაც ახალ წელს სიცუვები გვაქვს ნიჟერი, ბაბვუოცოდეს, ნეცავ, მთელი წელი!

### ანგარიში

\*\*\*

მიხო ხატოვნად ერშიყება მაროს.

- ამაღამ 12-ზე როგორც კი დიდი „სტრელკა“ პატარას ჩაეხუტება, ეგრე უნდა ჩაგეხუტო.
- გაქრი, შე უშნოვ, შენა! პირველის ერთ წუთზე დიდი „სტრელკა“ უკვე გადადის პატარა „სტრელკიდან“ მერე, მერე?.. - ქირქილება მარო.

\*\*\*

- ოხ, ღვინის სუნი ამოგდის! - ეჩხუბება მარო მიხოს:

- მამ, დედაშენივით ვალიდოლის სუნი ხომ არ ამომივა! - ხარხარებს მიხო.



\*\*\*

საახალწლოდ მიხოს სიდედრი ეწვია.

- აბა მიხო, ყველა ნატვრა აგიხდეს!
- რავი ჯერვერობით კოშმარი ამიხდა, - ბურტყუნებს მიხო.

\*\*\*

- მიხოს სიდედრი ესტუმრა. მიხო მას მაღალე ეფერება და კოცნის. სიდედრი ეწურჩულება თავის ქალიშვილს, მაროს:

- ნახე, როგორ გამოსწორებულა ჩემი სიძე, სიყვარულის გუდა გაეხსნა.
- ისემც მეხი დავაყარე მაგას! - გაბრაზდა მარო, - მაგან მეც ეგრე გადამდო გრიპი.

### საქართველოს ქორეოგრაფია

მის: თბილისი,  
გ. ტერელაშვილის ქ. №8

### სარეალიზო საბჭო:

რეზო ჭანიშვილი, ოლეგ ალავიძე,  
რევაზ ბალანჩივაძე,  
ურა დვალიშვილი,  
ზურ ლაზიშვილი, ნინო მდევაძე,  
ბესიკ სვანიძე, თენგიზ უთმელიძე.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადა-  
ბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვე-  
ბელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს  
რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტე-  
ბის, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს  
ხუთ ნაბეჭდ თაბაზზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემო-  
სული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი:

რუსულან კენჭოშვილი

ტელ.: 235 48 41

558 19 00 14

Facebook – საქართველოს  
ქორეოგრაფია [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge)

# გილოცავაზოთ

## ძრისფერობას და ახალ 2013 წელს!

### საახალწლო სუჰვილები

ქართველებს უველა სისმარი აგესრულებოდეს კეთილად,

ჩენი მტერი და მოშენე წევდიაღძიც გამოგეტილა.

გვერს ცრემლი და ვაჟა, ახლა ვიცხოვოთ მოლხენით,

ნიღბის გარეშე გვენახოს უველა ფლიდი და ოხერი.

სელფასი იუოს მაღალი, ხოლო ფაქტი დაბალი,

ვეღარ დაბომბოს სატანამ ჩენი ლამაზი მთა-ბარი.

ჩენეე უველადეთ ჩენს მიწას და უველაფერს ნუ გაეციდით,

ჩენი ძალებით ვაშენოთ გხა, სტადიონი და სიდი.

სანტა კლაუსიც კარგია, მაგრამ ჩენ თოვლის პაპა გვეაქს,

უცო კულტურა გვამკიდებს, ოღონდ სულ კი ნუ ჩაგველაპატაქს,

საქმე შავად რომ არ იუოს, არ გვინდა ბრესა უვითელი,

ერთერთის ტრფობამ დაგვათროს, მსოლოდ ღვინით ნუ დაფურცებით.

შეგვერგის ღორის მწვადები, ღორის გრიპი ~ კი აგცილდეს,

ჟექიცა ფექონდეს და გაზიც, ჩენს სახლებში არ აცივდეს.

ულევი ფექონდეს საქმე და უცხოებში არ გაფრთდეთ,

ერთმანეთისგან ვარჩევდეთ პირლისა და მგალობელს.

გველის წელია... სიბრძნე და გონება თქმულა გველებზე,

გულზე გვეკიდოს საშმობლო და არ გვეკიდოს ფეხებზე,

არ გამოსერიალდეთ და ზოგჯერ ჩენს ფილმებს გულეროთ,

ჩენს ბავშვებს წელარ გაცხოვრებთ უიდეოდ და უგულოდ.

იუოს სიმრავლე საღწისა და არა პარტიებისა,

შეგრიგდეთ, გვქონდეს უნარი შენდობა – პატიებისა.

ჩენს დაღლილ თვალებს იმედის სანთლებად ენთოს ეს დიღა,

ქართველებს უველა სისმარი აგესრულებოდეს კეთილად!

რომან ზუკაპიშვილი